*პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!*

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
31 ოქტომბერი
№ 251 (17894)
ფასი 2 კაპ.


# წინასაოქტომბრო შრომითი ენერგია

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

## პარტიული კონფერენციები — პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით!

ადგა პარტიული ძალების დათვალიერების ახალი ეტაპი — ხვალიდან იწყება რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები — ყოველთვის დდმნიშვნელოვანი, პასუხსაგები მოვლენა კომუნისტთა ცხოვრებაში. ახლანდელი კონფერენციების მნიშვნელობა და როლი კი განსაკუთრებულია, რადგან ისინი იმართება ორი ხუთწლედის — მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედების მიჯნა-შესაყარზე, სწორედ მაშინ, როცა ესოდენ მოგვიახლოვდა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მუშაობის დღეები.

ამიტომ, ბუნებრივია, კომუნისტთა ეს ფორუმები შეაჯამებს თითოეული რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კომიტეტის ნაღვაწს, მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობას, იმას, თუ როგორ დარაზმეს კომუნისტები, ყველა მშრომელი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა უოუო შესრულებისათვის.

დიახ, პარტიის ძირეულ კოლექტივებში ამ სამი თვის წინათ წამოწყებული საქმიანი, დიდი და გულახდილი საუბარი ახლა პარტიულ კონფერენციებზე გაგრძელდება, სადაც დელეგატები თან მოიტანენ სწორედ პირველადი ორგანიზაციებიდან და პარტიული ჯგუფებიდან კომუნისტთა აზრებსა და გაწყობილებებს, საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე შეჯამებულ გამოცდილებას.

სწორედ ეს კოლექტიური გამოცდილება, კონფერენციათა დელეგატების საერთო ძალ-ღონით შემუშავებული გადაწყვეტილებანი იქნება იმის უმთავრესი პირობა, რომ მომავალი საანგარიშო პერიოდი უფრო ღრმაშინაარსიანი და მაღალნაყოფიერი, ნამდვილად შეწონილ-შეფარდებული იყოს იმ რთულ, მასშტაბურ ამოცანებთან, რომლებსაც მეთერთმეტე ხუთწლედი მთელს საბჭოთა ხალხს უსახავს.

ხშირად ამბობენ ხოლმე, ყოველი პარტიული ორგანიზაციის სიმკვრივე, ძალა და მებრძოლუროობა იმით განისაზღვრება, თუ როგორია კომუნისტთა იდეურობა, აქტიურობა, დისციპლინაობა. ეს, შეშმარიტად, ასეა. წლევანდელი კონფერენციები ემთხვევა იმ დღეებს, როცა თითოეულ ქალაქს თუ რაიონში უკვე თვალნათლივ ჩანს, ცხადად გამოიკვეთა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის გაწეული დაძაბული გარჯის, დიდი რუდუნების, ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ბევრი რამ იყო დათქმული ახალი საბჭოთა კონსტიტუციის დამბადების მესამე წლისთავისათვის, აგრეთვე 7 ნოემბრისათვის, რომელსაც ერთი კვირის შემდეგ ვიდღესასწაულებთ. გულგასახარია ჩვენი მეჩაიეებისა და მევენახეების პატრიოტული, ალალი გარჯა. და იმ დიდ ალმასვლაში, იმ თვალსაჩინო წარმატებებში, რომელებსაც დღითი დღე ზედიზედ შეიდჯერ საკავშირო წითელი დროშის მფლობელი საბჭოთა საქართველო აღწევს, მეტად ხელშესახებია ცალკეული ქალაქებისა და რაიონების, მათი პარტიული ორგანიზაციების წვლილი.

ამიტომ, ბუნებრივია, პარტიულ კონფერენციებზე გულმოდგინე ანალიზი დასჭირდება თითოეული პარტიული კომიტეტის გაწეულ საქმიანობას, იმას, თუ რა გამოცდილებით გამდიდრდნენ ისინი მთელ საანგარიშო პერიოდში ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის მხრივ, პოზიტიური შედეგების მიღწევის რა ეფექტიანი ფორმები გამოიყენეს.

ასეთი გამოცდილება თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონშია,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც დაბეჯითებით იღვწის ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე, ყველა პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობის ლენინური სტილის დასამკვიდრებლად, ფართოდ ავრცელებს და მხარს უჭერს ამ მხრივ გადადგმულ ყოველ სასარგებლო ნაბიჯს, ხოლო მკაცრად მოჰკითხავს ხოლმე იმათ, ვინც სერიოზული შეცდომები დაუშვა მუშაობაში. ამ მომკითხველობის მაგალითად განვლილ საანგარიშო პერიოდში გამოდგება პარტიის ზესტაფონის, ამბროლაურის რაიონული, აგრეთვე ზოგიერთი სხვა პარტიული კომიტეტის შესახებ მიღებული დადგენილებანი.

კონფერენციათა მონაწილეებმა მთელი გულისყური უნდა მიაპყრონ ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, გვერდი არ უნდა აუარონ ეგრეთ წოდებულ მწვავე საკითხებს, იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ცოტა როდია საერთო მიღწევების ფონზე. თითოეული პარტიული კომიტეტის მოღვაწეობის განსახილველად და შესაფასებლად თავდათავია ის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც ისინი ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ ხანს მიღებულ დადგენილებათა, აგრეთვე საკუთარ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

როგორც ამ დღეებში ჯავის რაიონის საზოგადოებრივივ მეურნეობებში გამართულმა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კრებებმა ცხადყო, პარტიის რაიკომმა ვერ უზრუნველყო მეცხოველეობის შემდგომი განვითარების თაობაზე არათუ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი, არამედ თვით რაიონული პარტიული კონფერენციის დადგენილებაც. უინიციატივო, უგრძნელო მუშაობის ფაქტები ზოგ სხვა რაიონშიც გვხვდება. ეს კი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა მეტი გულახდილობითა და გულწრფელობით ითქვას როგორც გაუკეთებელ-გაუთვალისწინებელზე, ისე ღრმად მოფიქრონ საქმის გაუმჯობესების გონივრული, პრაქტიკული წინადადებანი, დელეგატები არ მოირიდონ იმ მუშაკების, რა რანგისაც უნდა იყვნენ ისინი, მკაცრ, მაგრამ ობიექტურ კრიტიკას, რომელთაც საქმეს ხელი დააკლეს, ვერ გაამართლეს ხალხის, კომუნისტების ნდობა.

ჩვენი ცხოვრების პრაქტიკა ყოველდღიურად მოწმობს, თუ პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებზე რაოდენ ბევრად არის დამოკიდებული ადგილებზე ინიციატივისა და საშემსრულებლო დისციპლინის შეხამება, იმ ხარვეზების დროული შევსება, წინსვლას რომ აფერხებს.

ყოველი კონფერენციის ჩატარების დონე სიღამდვილეში კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონეა. სწორედ იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ დელეგატები საქმის გაუმჯობესების ამ უბარ საშუალებას, ჩვენი პარტიის ნაცად იარაღს, უკეთ გამოჩნდება დამატებითი რეზერვები, რომლებიც ქეთილი საქმის სამსახურში ჩადგება. მდგომარეობის, ფაქტების შელამაზებას, მიღწეულის გაზვიადებას, ყოყოჩობასა და ტრაბახს არასდროს მოუტანია ხეირი, მით უმეტეს ახლა, როცა წინ ეხოდენ ბევრი საზრუნავია, როცა გრანდიოზული და მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტისათვის ყოველი საღი, პრაქტიკული წინადადება, რომ იტყვიან, ოქროდ ფასობს, ამიტომაც ახლა ნაკლის მიჩქმალვა, გულარხეინობის განწყობილება მარტლაც რომ დანაშაულია.

როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გვახწავლის, კრიტიკული შენიშვნების სიუხვე სრულიადაც არ ნიშნავს იქ საქმის ცუდ მდგომარეობას.

წინა პარტიული კონფერენციების ჩატარების პრაქტიკამ ნათლად დაადასტურა, ეს შეშმარიტება. სწორედ იქ, სადაც ნაკლზე თვალი არ დახუჭეს, პირუთვნელად ოქვეს სათქმელი, უფრო კონკრეტული, საქმიანი ღონისძიებაც შემუშავდა და მისი განხორციელების გზებიც გამოჩნდა. და პირიქით, სადაც დელეგატებმა, რომ იტყვიან, პირში წყალი ჩაიგუბეს, უპრინციპობა გამოიჩინეს, ერთმანეთს დაუშსახურებელი დითირამბები მიუძღვნეს, ბევრი ნაკლი უფრო გაიბერა, ესა თუ ის სატკივარი განუკურნებელი დარჩა.

ერთი სიტყვით, პარტიული კონფერენციები ყველგან ისე უნდა მომზადდეს და გაიმართოს, რომ არც ერთი კომუნისტი არ დარჩეს გულგრილი, რაიმე ფორმით ყველამ მიიღოს მასში მონაწილეობა. უნდა დავგმოთ კომუნისტის ისეთი პოზა, თითოს ვერ აჩჩენდეს ნაკლსა და უარყოფითს მოვლენას, მსჯელობდეს ასე: „მე ეს არ მეხება, დაე, ამაზე სხვებმა ამტვრიონ თავნი“. ობივატელური მორალის ასეთ გამოვლინებებს მაშინვე უნდა მივცეთ სათანადო შეფასება.

პრინციპულობის მაგალითი სხვა დელეგატებს უპირველესად უნდა უჩვენონ კომუნისტმა ხელმძღვანელებმა, რომელთათვის ამასთანავე უცნო უნდა იყოს კრიტიკით გაღიზიანება, ამჩატება. არანაკლებ საჭიროა სათანადო პასუხი გაეცეს ისეთ ცდებსაც, როცა სურთ კრიტიკა დემაგოგიით შეცვალონ, ან საზოგადოებრივი ტრიბუნა ვინმესათვის ანგარიშის გასწორების ასპარეზად აქციონ.

როცა პარტიული კონფერენციის მომზადებაზე ვლაპარაკობთ, უწინარესად გასათვალისწინებელია ის, რომ საქმიან, პრინციპულ და ობიექტურ სკამბასს ტონი პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ უნდა მისცეს. ჩვენი რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული კომიტეტები უკანასკნელ წლებში სხვადასხვა სიახლეებს იყენებენ პარტკონფერენციათა მოსამზადებლად, საანგარიშო მოხსენების შედგენისას ეყრდნობიან და ითვალისწინებენ კომუნისტთა ფართო მასების აზრს. ამიტომ პარტიული კომიტეტების საანგარიშო მოხსენებანი ერთი ან ორი ადამიანის ნააზრევი კი არ არის, როგორც ეს წინათ ზოგან ხდებოდა ხოლმე, არამედ კოლექტიური ბჭობისა და კვლევის საგანია, შეიცავს არა მარტო სამეურნეო მაჩვენებლებისა და მოწყობილი ღონისძიებების ჩამოთვლას, არამედ მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ღრმა, საფუძვლიან ანალიზს. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა, მაგალითად, პარტიის თბილისის კომიტეტის, ზოგიერთი რაიკომის გამოცდილება. ისინი წინასწარ შეხვდნენ დელეგატებს, მათთან ერთად განიხილეს და დააზუსტეს მრავალი საჭირბოროტო საკითხი.

წლეულს პირველად როდი ხდება, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შესაბამისი დადგენილებით ადგილებზე ქალაქებსა და რაიონებში მივლინებულია სპეციალური ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაშიც არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს წევრები, აპარატის მუშაკები, მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები, სხვადასხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი მონაწილეობდნენ პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მუშაობაში და ახლაც აქტიურ დახმარებას უწევენ პარტიის რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებს პარტიული კონფერენციების მომზადებაში, მათი უშუალო მონაწილეობით მრავალი საკითხი, პრობლემა ადგილზევე ოპერატიულად და კომპეტენტურად წყდება.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში კონფერენციათა-სთვის ამზადებენ სხვადასხვა დიაგრამებს, ფოტოსტენდებსა და მრეწველობის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენებს, რაიონული და საქალაქო გაზეთები სპეციალურ ნომრებს მიუძღვნიან, რომლებშიც გაშუქებულია საანგარიშო პერიოდის ცხოვრება, პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მრავალფეროვანი საქმიანობა. რა თქმა უნდა, ეს კარგია და მხარდასაჭერი.

მაგრამ ერთი რამეც არის გასათვალისწინებელი: ზოგ კონფერენციაზე გადაჭარბებულ ზეიმურ განწყობილებას ქმნიან, იწვევენ სტუმრებს მეზობელი რაიონებიდან, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების რაიონებიდანაც კი, წარმოთქვამენ პარადულ სიტყვებს, მისალმებებს, აფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებს და სხვ. ყოველივე ეს თითქოს ცუდი არ არის, მაგრამ არ შეიძლება ავცდეთ პარტიული კონფერენციის მიზანს — ობიექტურად განვიხილოთ არჩევითი ორგანოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა, დავსახოთ პარტიული კომიტეტის მომავალი მოღვაწეობის კონკრეტული ღონისძიება და დიდი პასუხისმგებლობით, მოფიქრებით ავირჩიოთ ამ კომიტეტებში ყველაზე ინიციატიციანი, უნარიანი, ავტორიტეტიანი კომუნისტები.

ბევრი, ძალიან ბევრია პარტიულ კონფერენციებზე სამსჯელო და სალაპარაკო. ხუთწლედის ეს ბოლო ორი თვე თითოეული შრომითი კოლექტივისაგან მოითხოვს აამოქმედოს ყველა რეზერვი და საშუალება გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესება, მართვის მექანიზმის სრულყოფა, კადრებთან მუშაობა, პარტიული მოღვაწეობის ფორმებისა და მეთოდების გამდიდრება, ბიუროკრატიზმისა და უყაირათობის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის საკითხები, მთელი აღმზრდელობითი მუშაობის გააქტიურება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სულისკვეთებით — აი ყოველი კონფერენციის მთავარი თემა.

ამრიგად, დღის წესრიგშია პარტიული კონფერენციები, დიდი და პასუხსაგები ეტაპი ანგარიშგება-არჩევნებისა, რომელიც კეთილ გავლენას მოახდენს მთელ ჩვენს საქმეებსა და გეგმებზე. დაე, ნამდვილად შემოქმედებითი და ნაყოფიერი იყოს იგი თითოეული რაიონის, ქალაქის, ოლქის პარტიული ორგანიზაციისათვის.

## შეჯიბრული საშუშაო ვიგვიჯი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 30 ოქტომბერს მეგობრულ საუშაო ვიზიტად ჩამოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სტანისლავ კანია და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ პინკოვსკი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე პოლონეთის ხელმძღვანელებს დახვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ტიხონოვი, ა. ა. გრომიკო, კ. ვ. რუსაკოვი.

დამხვდურთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. ოლშევსკი.

**კრემლში** გაბმართა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის უმაღლესი დონის შეხვედრა. მასში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი;

პოლონეთის მხრივ— პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. პინკოვსკი.

შეხვედრის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთრთბის შემდგომი განვითარების საკითხები. ეს ურთიერთობა განმსჯვალულია კეთილმეზობლობის; ამხანაგური სოლიდარობის, საერთო მიზნებისა და მისწრაფებების სულისკვეთებით. საბჭოთა და პოლონელი ხალხების საარსებო ინტერესებს უკვე 35 წელზე მეტი ხანია ერთგულად ემსახურება სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა წარმატებით მოქმედებენ სოციალისტური ქვეყნების კოლექტიურ ორგანიზაციათა—ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ დადაწყვეტილი გაუფრთხილდნენ და კიდევ უფრო გააძლიერონ ორივე ხალხის ურღვევი ძმური კავშირი.

ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პოლონეთის მხარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია პოლონეთის მრეწველობის შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების უზრუნველყოფასთან, რათა გაიზარდოს მანქანათმშენებლობის, მსუბუქი, კვებისა და გადამუშავებელი მრეწველობის სხვა დარგების პროდუქციის გამოშვება.

მიღწეულია მორიგება, რათა შემუშავდეს ეკონომიკური პროგრამები უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე უახლოესი დროისა და პერსპექტივისათვის. მიზანშეწონილად ცნეს უფრო ფართო მასშტაბით გამოიყენონ ორივე ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი და მრეწველობის შესაძლებლობანი მაღალეფექტიანი მოწყობილობის წარმოებაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისათვის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევები პროდუქციის წარმოების ზრდის მიზნით მოსახელთებელ-მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადება საბჭოთა კავშირში, შეეხო ამას წინათ გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებს.

ს. კანიამ ილაპარაკა პოლონეთის ვითარების შესახებ, იმაზე, თუ როგორ სრულდება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებანი და რა ღონისძიებებს ახორციელებენ პოლონელი კომუნისტები ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა გამოხატა საბჭოთა კომუნისტების, საბჭოთა კავშირის მშრომელების რწმენა, რომ მომავ პოლონეთის კომუნისტები, მშრომელები შეძლებენ გადაჭრან მათ წინაშე წარმოჩრილი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მწვავე პრობლემები და სახალხო ხელისუფლების წლებში შექმნილ მატერიალურ და სულიერ პოტენციალზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, სახალხო პოლონეთის შემდგომ ყოველმხრივ პროგრესს.

შეხვედრის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს გარკვეული იმპერიალისტური წრეების ცდები — ძირი გამოუთხარონ სოციალისტურ პოლონეთსა და ჩაერიონ მის საქმეებში. ამგვარი ცდები ეწინააღმდეგება ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტს, ევროპის ხალხების ინტერესებს, კონტინენტზე მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეს.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ს. კანიამ გამოთქვეს კმაყოფილება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის იმ სხდომის შედეგების გამო, რომელიც ამას წინათ გაიმართა პოლონეთის დედაქალაქში. ამან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სოციალისტური ქვეყნები მადრიდის შეხვედრას ეპეებიან კეთილი ნებითა და იმ სურვილით, რომ წინ წასწიონ ყველასთვის სასარგებლო თანამშრომლობა ევროპაში.

საუბრის დროს განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების სხვა აქტუალური პრობლემები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამჟამად განსაკუთრებით საჭიროა მიზანდასახული მოქმედება, რათა წინაღვუდგეთ გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი ტურის დაწყებას. სწორედ ამ მიმართულებით მოქმედებენ სსრ კავშირი, პოლონეთი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები, რომლებმაც წამოაყენეს გამალებული შეიარაღების ალაგმვის კონსტრუქციული პროგრამა.

შეხვედრამ გულითადობის ვითარებაში ჩაიარა და ცხადყო შეხედულებათა ერთიანობა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ურთიერთობას ახასიათებს.

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და საბჭოთა მთავრობამ კრემლში საუზე გაუმართეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ს. კანიას და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. პინკოვსკის.

**ამავე** დღეს ამხანაგები ს. კანია და ი. პინკოვსკი სამშობლოში გაემგზავრნენ.

ვნუკოვოს აეროდრომზე პოლონელი ამხანაგები გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ა. ტიხონოვმა, ა. ა. გრომიკომ, კ. ვ. რუსაკოვმა.

გამცილებელთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. ოლშევსკი. (საკდესი).

სურათზე: საბჭოთა კავშირ-პოლონეთის უმაღლესი დონის შეხვედრა კრემლში. საკდეს-საძინფორმის ტელეფოტო.

## ავამოქმედოთ რეზერვები

### უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**კიევი**, 29 ოქტომბერი. (საკდესი). თვისებრივად ახალ დონეს მიაღწია მეათე ხუთწლედის წლების მანძილზე საბჭოთა უკრაინის ეკონომიკამ. გასულ ხუთწლედთან შედარებით ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 70 მილიარდი მანეთით და მეტად, რაც დაახლოებით უდრის მის აბსოლუტურ სიდიდეს. მთელი 1975 წლის განმავლობაში ამ მატების ოთხ მეხუთედზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. განხორციელდა ღონისძიებათა ფართო პროგრამა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დღეს გამართულ პლენუმზე მოიყვანეს მონაცემები, რომლებიც მოწმობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მყარ დინამიკურ განვითარებას, მისი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზრდას. განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკრაინის სს რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი უდიდესი აღფრთოვანებითა და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზა საქმის ვითარება სახალხო მეურნეობაში, განსაზღვრა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანები. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებულია მოქმედების ვრცელი პროგრამა, რომელიც განმსჭვალულია ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით.

ამ საპროგრამო დოკუმენტების შესაბამისად განიხილეს პლენუმის მონაწილეებმა არსებული ნაკლოვანებანი საგეგმო და სამეურნეო ორგანოების, შრომითი კოლექტივების მუშაობაში, აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ყველა უბანზე როდია უზრუნველყოფილი მეურნეობრიობის სათანადო დონე და მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა, ჯერ კიდევ სრულად არ იყენებენ არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ არ სრულდება გეგმები მთელი რიგი პოზიციების მიხედვით.

ერთსულოვნად მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მთელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობას.

### მოსკოვიდან გაემგზავრა

**30 ოქტომბერს** მოსკოვიდან ვოლგოგრადს გაემგზავრა სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო აღმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე, ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარე მენგისტუ ჰაილე მარიამი.

აეროდრომზე სტუმარი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

## მწყობრშია ახალი მილსადენი

### გაკეთდა დიდი საქმე

**საექსპლოატაციოდ** გადაეცა სამგორ-ბათუმის 425 კილომეტრიანი ნავთობსადენი. რაც შეეხება ხაშურ-ბათუმის მონაკვეთის მშენებლობას, იგი წელს დაიწყო და ვადამდე დამთავრდა. მშენებლობას აწარმოებდნენ სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს მილსადენების მშენებლობის მთავარი სამმართველოს როსტოვის, კრასნოდარისა და გროზნოს ტრესტების კოლექტივები (მმართველები — ვ. ნუსენი, ა. ანდრეევი, მ. მუგადავი) და საქართველოს სამმართველოს კოლექტივი (უფროსი — შ. კიკაკაციშვილი).

— ცუდ კლიმატურ პირობებსა და რთულ რელიეფზე გვიხდებოდა მუშაობა. ადგილი დასაძლევი როდი იყო სურამის უღელტეხილსა და აჭარის ტრასის სამუშაოები. ერთგან სალი კლდე, ბი გვირთულებდა საქმეს, მეორეგან მეწყერი, — გვითხრა გროზნოს ტრესტის ერთ-ერთი სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ი. მამადავეგა.

მშენებლებს უხდებოდათ ასობით ღრმა ტრასის გათხრა, ასობენ ბუნკერის, ხიდურის, საყრდენის აგება და მთი რთულ პირობებში დამონტაჟება. ტრასა ზოგჯერ უდაბურ ადგილებშია, მთებზე, ხრამებში, ტყეებზე გადიოდა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი ი. პეტროკოვის, მ. დუდინის, ა. პიროგანის შემდეგელ მა ბრიგადებმა და სხვებმა.

ახალი ნავთობსადენის საექსპლოატაციოდ გადაცემა დიდ ეკონომიკურ ეფექტს მისცემს სახელმწიფოს. იგი რკინიგზაზე გამოანთავისუფლებს ათასობით ვაგონ-ცისტერნს, მნიშვნელოვნად გააიაფებს ნავთობის გადაზიდვას.

ეს შრომითი სიხარული მშენებლებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავს მიუძღვნეს.

**მ. გოგგილაძე,**
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

## უბნის ნოგათი

**ჟიათურა.** (ხაკ. კორ. ო. ნიჭაბაძე). კარგი მაჩვენებლებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის რევოლუციის 63-ე წლისთავს ახალი ითხვისის მაღაროს პირველი უბნის მშრომელები. მათ უკვე შეასრულეს 10 თვის დავალება და გეგმის გადამეტებით 8000 ტონა მანგანუმის მადანი ამოიღეს.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია გვირაბგამყვანი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. ბაქრაძე. თვითონ იგი ახლა მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. ნოვატორმა გვირაბგამყვანმა მუშაობის მოწინავე მეთოდები გაუზიარა უბნის კოლექტივს, რომელმაც შრომის ნაყოფიერების ზრდით, დამხმარე მასალების მომჭირნეობით უზრუნველყო 20 ათასი მანეთი ეკონომია.

გ. ბაქრაძეს მუშაობაში ტოლს არ უდებენ გვირაბგამყვანი ი. ბარბაქაძე, მეგიგეები ე. მაჭარაშვილი, ა. მესხი, ქ. აბესაძე, გ. ყიფშიძე, რომლებიც ასევე გრაფიკის დიდი გასწრებით მუშაობენ.

## განამტკიცებენ მიღწეულს

**თავდადებით** შრომობს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივი. წინასოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია გაერთიანების ყველა ქარხანამ, საამქრომ, უბანმა, ბრიგადამ. ვადამდე შესრულდა ათი თვის სახელმწიფო დავალება. გეგმის გადამეტებით ელექტრიკოსები ქვეყანას მილიონ 800 ათასი მანეთის პროდუქციას მიაწვდიან. მომხმარებელი მიიღებს გაუმჯობესებული ხარისხის მარეგულირებელ მექანიზმებს, ელექტროავტომატებს, სასიგნალო არმატურას, პლასტმასის დეტალებს, ფართო მოხმარების საქონელს.

აქ ახლა შრომითი მეტოქეობის შემდგომი ეტაპი იწყება. როგორც გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ა. ხუროძემ შეგვატყობინა, წარმოების მოცულობის ზრდის ხუთწლიანი გეგმა ხვალ შესრულდება. ეს იმას ნიშნავს, რომ შემკვეთი დარჩენილ დროში გეგმით გათვალისწინებულზე 8.700 ათასი მანეთის მეტი ღირებულების ნაწარმს მიიღებს.

ელექტრიკოსები მძ

მასების კონტროლიდან
ნაღდის ფხიზელი თვალი
გვერდი № 163

# ერთგული თანაშემწენი

## რას აქეთებენ, როგორ გვეხმარებიან

**სახალხო** კონტროლის საქმიანობა, ფორმები, რომლებთაც იგი ვლინდება, შედეგები, რაც მას მოსდევს, მასების კონტროლის შესახებ ლენინური დებულებების განხორციელებას ისახავს მიზნად. ჩვენი საწარმოს სახალხო კონტროლიორები ხელს უწყობენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების, ხუთწლედის დავალებების განხორციელებას, ებრძვიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს, უპასუხისმგებლობასა და უყაირათობას. ამით სახალხო კონტროლიორები თვალსაჩინო დახმარებას გვიწევენ ყველგან და ყველაფერში სრული წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში.

ხუთწლედის დასაწყისიდან თვით კონტროლიორები, რომლებიც ჯგუფებში და საგუშაგოებში მოქმედებენ, ყოველწლიურად გადაჭრიბებით ასრულებენ პირად გეგმებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია და კონტროლის გაწევის მორალური უფლების განსახიერებაა. მათი მაჩვენებლები ასახულია სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილ საჯაროობის რაიონულ სტენდზე. გარდა ამისა, მეთოდიკური კუთხის დაფაზეა საჯაროობის საშუალებათა რაიონულ დათვალიერებაში გამარჯვების მასალები, რითაც ჩვენი ქარხნის კონტროლიორებს პირველი ადგილი მიენიჭათ. ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფმა (თავმჯდომარე — მ. სიმონიშვილი) მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში, რის გამოც სათანადოდ დაჯილდოვდა.

ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა პირველი სექტემბრისათვის შეასრულა. ამაში თავიანთი წვლილი შეიტანეს სახალხო კონტროლიორებმა.

მაინც რას აკეთებენ ჩვენი სახალხო კონტროლიორები? მათ შეამოწმეს მექანიკურ საამქროში სამუშაოთა განაწილებისა და აღრიცხვის მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ მუშებს დროულად არ აძლევდნენ განრიგს, დროზე და სათანადოდ არ ფორმდებოდა შესრულებული სამუშაოები. ამის შესახებ კონტროლიორებმა მოხსენებითი ბარათით მოგვმართეს. სასწრაფოდ დაიწერა ბრძანება კონტროლიორთა რეკომენდაციების გათვალისწინებით და კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ეს ხარვეზი გამოსწორდა. კონტროლიორებმა საფუძვლიანად შეამოწმეს ქარხნის სანიტარიული მდგომარეობა, წარმოების კულტურის ამაღლების საკითხები. გამოვლენილი ნაკლოვანებები აისახა კედლის გაზეთშიც. ამასაც მოჰყვა დირექციის რეაგირება ბრძანების სახით. ქარხნის სანიტარიული მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა და წარმოების კულტურაც ამაღლდა შემოწმების დროისათვის არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

ქარხნის პარტიიბიროს სხდომაზე მსჯელობის საგანი გახდა სახალხო კონტროლის ჯგუფის მიერ შემოწმების შედეგები, რომელიც ეხებოდა ზემდგომი ორგანოების ერთ-ერთი დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საფუძვლიანი შემოწმების შედეგად სახალხო კონტროლიორებმა გამოავლინეს სერიოზული ხარვეზები № 1 საწყობში (გამგე — ა. გრიგორიანი). აღმოჩნდა, რომ აქ წლების განმავლობაში უმოქმედოდ ელაგა 8.448 მანეთის სათადარიგო ნაწილები. ის რეკომენდაციები, რომლებიც სახალხო კონტროლიორებმა წარმოადგინეს, ზუსტად განხორციელდა და საწყობის მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

კონტროლის ჯგუფის წინადადებით, რომელიც ეხებოდა წვრილმანი ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქარხნის შინაგანაწესის დაცვის საკითხებს, შეცვალეს არასაუწყებო დაცვის ბრიგადირი და ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მუშაკი; აგრეთვე მნიშვნელოვანი რეზერვები გამოვლინდა შემოწმების შედეგად, რომელიც საძარე საამქროს გადამკვრელ განყოფილებაში მოაწყვეს კონტროლიორებმა. ამ შემოწმების თემა იყო „მასალათა ხარჯვის მდგომარეობა და გამოუყენებელი რეზერვები“.

სახალხო კონტროლის ჯგუფმა და საგუშაგოებმა საწარმოს ყოველ საამქროში უზრუნველყვეს სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების ქმედითი კონტროლი, მიაღწიეს სამუშაო დროის მაქსიმალურ გამოყენებას.

დიახ, სახალხო კონტროლიორები ჩვენი ფხიზელი თანაშემწენი არიან. ისინი ხშირად მიგვანიშნებენ წაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, „ვიწრო ადგილებზე“, იმაზე, რაც, სამწუხაროდ, ქარხნის ხელმძღვანელებს ზოგჯერ გამოგვრჩება ხოლმე. კონტროლიორთა შენიშვნები და წინადადებანი ნდამ ყურადღების ცენტრში გვაქვს.

ჩვენს კონტროლიორთა დადებითს მუშაობაზე ვილაპარაკე, მაგრამ მათს საქმიანობაში ნაკლიც შეინიშნება. სუსტად მუშაობს მათთან შექმნილი სამი სექტორი, არ გვაქმაყოფილებს გამოფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებები. მეტი თავდადება და შემართებაა საჭირო კონტროლიორთა საქმიანობაში.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ სახალხო კონტროლის ჯგუფისა და საგუშაგოების გავლენა, პრაქტიკული უკუგება და ეფექტიანობა მათთვის დაკისრებულ ფუნქციათა შესრულებაში. კონტროლიორთა როლისა და ავტორიტეტის შემდგომი ამაღლების ინტერესები მოითხოვს მათთვის მზრუნველობას, ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებას.

**ლ. ჩიქვინიძე,**
**თბილისის № 2 ავტოშემკეთებელი ქარხნის დირექტორი.**



# გვერდს ნუ ავუვლით დაჩლეგეებს...

**სახალხო კონტროლის ჯგუფის მოქნილ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მშრომელთა ფხიზელი თვალი, მათი აქტიური პოზიცია და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა ხელს უწყობს სახალხო დოვლათის ზრდას. ამდენად ბუნებრივია ის დიდი მზრუნველობა, რომელსაც კონტროლის ჯგუფების საქმიანობისადმი იჩენენ.**

**სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტები ჯგუფებისადმი პრაქტიკული დახმარების მიზნით შტატგარეშე ინსპექტორებს ამაგრებენ მათ. დახმარების ამ ფორმას უდიდესი მნიშვნელობა რომ ენიჭება, იმითაც ჩანს, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი პერიოდულად სწავლობს შტატგარეშე ინსპექტორების საქმიანობას, განაზოგადებს დადებითს გამოცდილებას, ხოლო ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სახავს სათანადო ღონისძიებებს.**

**ქობულეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ პრაქტიკული დახმარების მიზნით სახალხო კონტროლის ჯგუფებზე მიმაგრებული შტატგარეშე ინსპექტორების მუშაობის შესახებ ამას წინათ იმსჯელა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა და სათანადო ღონისძიებები შეიმუშავა.**

**რესპუბლიკური** კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქობულეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი ამ მხრივ სათანადო მუშაობას ეწევა. შტატგარეშე ინსპექტორები ნაყოფიერ დახმარებას უწევენ სახალხო კონტროლის ჯგუფებს და სანიმუშოდ წარმართავენ მათს საქმიანობას.

ნაყოფიერად, ინიციატივიანად მუშაობენ, მაგალითად, სოფელ ზედა ულიანოვკის კოლმეურნეობის, ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის, აჭყვის ჩაის ფაბრიკის, პანსიონატ „ქარიშხალას“ და სხვა ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფები, რომლებზეც მიმაგრებული არიან შტატგარეშე ინსპექტორები თ. ნაცვლიშვილი, ი. ზოიძე, ჯ. ცეცხლაძე, ი. ქათამაძე.

78 შტატგარეშე ინსპექტორი 177 სახალხო კონტროლის ჯგუფს ხელმძღვანელობს (თითოეული მიმაგრებულია 2–3 ჯგუფზე). იხინი განაწილებული არიან დარგობრივი პრინციპით. რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება აზორციელებს შტატგარეშე ინსპექტორების საქმიანობის კოორდინაციას, ხელმძღვანელობს აქტივის სწავლებას მუდმივმოქმედი სემინარის საშუალებით, შეისწავლის ჯგუფების საქმიანობას, განაზოგადებს დადებითს გამოცდილებას. მაგალითად, შარშან და წელს განყოფილებამ 13 ჯგუფის მუშაობა შეისწავლა, აქედან ხუთის საკითხი კომიტეტზე განიხილა. სამი მოწინავე ჯგუფის მუშაობა ფართო განზოგადების ღირსად ცნო და განაზოგადა კიდეც.

ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფებისადმი პრაქტიკული დახმარების საქმეში ყველაფერი რიგზე იყოს. ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. გაგაცნობთ რამდენიმეს. ის გარემოება, რომ შტატგარეშე ინსპექტორების ჯგუფებზე მიმაგრება კომიტეტის დადგენილების მიუღებლად ხდება, ადუნებს შტატგარეშე ინსპექტორების პასუხისმგებლობის გრძნობას. შტატგარეშე ინსპექტორთა შერჩევის საქმეც ვერ დგას სათანადო დონეზე. ზოგჯერ ჯგუფებში იგზავნებიან შეუფერებელი კადრები, რომელთაც არა აქვთ ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება, არ შეუძლიათ კვალიფიციური დახმარება. მაგალითად, გ. თავართქილაძე, ნ. ქათამაძე, გ. შოშიტაშვილი და სხვა ინსპექტორები იშვიათად მიდიან ჯგუფებში, სკერდებიან ზერელე მითითებებს, რაც ძალზე შორს დგას ქმედითი, პრაქტიკული დახმარებისაგან. არიან ისეთებიც, რომლებიც საერთოდ არ გამოჩენილან ჯგუფებში, ე. ლაზიშვილი, ა. გოგიტიძე, ჟ. ბაუკაძე და სხვები ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ არავის უნახავს.

ინსპექტორთა ასეთი უმოქმედობის შედეგად ოჩხამურის მუშათა კოოპერატივის, ბუკნარის ხილკენკროვანი ღვინოების საწარმოს, ჩაქვის № 2 ჩაის ფაბრიკის, ციტრუსების შესაფუთი ქარხნის, ქვედა აჭყვის კოლმეურნეობის თუ სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფები ცუდად მუშაობენ. არ იგრძნობა სახალხო კონტროლიორთა სათანადო აქტიურობა, ისინი საქმით არ უპასუხებენ სახალხო კონტროლის ორგანოების რესპუბლიკური აქტივის კრების მოწოდებას — „გვერდს ნუ ავუვლით დარღვევებს, გადახრებს, ნაკლოვანებებს!“

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში ასახულია ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის გზები.

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით რესპუბლიკაში მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდება სახალხო კონტროლიორთა სწავლების სანიმუშოდ მოწყობისათვის. პარტიული სწავლების პროპაგანდისტთა რაიონულ და საქალაქო სემინარებთან შეიქმნა სახალხო კონტროლიორთა სკოლების პროპაგანდისტთა სექციები, რომლებშიც მეცადინეობა მიეწყობა ორ-სამ თვეში ერთხელ. ყოველ მეცადინეობაზე დამუშავდება ორი-სამი თემა, რომლებსაც შემდეგ პროპაგანდისტები გაამუქებენ სახალხო კონტროლიორთა სწავლების სკოლებში.

სახალხო კონტროლიორთა სკოლები მეცადინეობას უკვე მეუდგნენ, რაც 1981 წლის მაისამდე გაგრძელდება. პირველი მეცადინეობა გაიმართა კონტროლიორთა სწავლებისათვის გამოყოფილ ერთიან დღეს — 17 ოქტომბერს. ეს მეცადინეობა მიეძღვნა ყველასათვის საერთო თემას — „სახალხო კონტროლის ორგანოების ძირითადი ამოცანები“.

როგორ მოაწყვეთ სახალხო კონტროლიორთა სწავლება, რას ითვალისწინებს ამ მხრივ დასახული ღონისძიებანი, როგორია პირველი შედეგები, მომავლის პერსპექტივები? — ასეთი შეკითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ქ. თბილისის სახალხო კონტროლის კალინინის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს **ო. ბერძენიშვილს.**

— სახალხო კონტროლიორთა სწავლება, ამ საქმის ორგანიზაცია ახალი საქმეა, — თქვა მან,— მისი ამოცანები ძირითადად გაკანონისაზღვრა ჩვენი რაიონის სახალხო კონტროლის კალინინის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს **ო. ბერძენიშვილს.**

— სახალხო კონტროლიორთა სწავლება, ამ საქმის ორგანიზაცია ახალი საქმეა, — თქვა მან,— მისი ამოცანები ძირითადად გაკანონისაზღვრა ჩვენი რაიონის სახალხო კონტროლიორთა სწავლების სკოლების პროპაგანდისტთა რაიონული შეკრება, რომელზეც დაწერილებით განიხილეს სწავლების ორგანიზაციული საკითხები, — მეცადინეობათა გრაფიკები, სპეციალური თემატიკა. ...ეს, თუ როგორ უნდა წარიმართოს პირველი მეცადინეობა, პროპაგანდისტთა წინაშე მოხსენება გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ელ. ქვათაძემ.

მიღებულია ზომები, რომ სკოლებში სწავლებას მიენიჭოს მასობრივი ხასიათი ერთიანი პროგრამის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის, შესრულების კონტროლის, შემოწმების თეორიისა და პრაქტიკის საკითხების შესწავლას. პროგრამა რვა თემის დამუშავებას ვარაუდობს, რისთვისაც სკოლების მეცადინეობა თვეში ერთხელ გაიმართება.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი და პროპაგანდისტები ითვალისწინებენ, რომ სკოლებში მეცადინეობა მოეწყობა ლექციების, მოხსენებების, გაკვეთილების, რეფერატების წაკითხვის, აზრთა გაზიარების, შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და, საერთოდ, კონკრეტული სკ-ბ-ასისა და გამოცდილების გაზიარების ფორმით.

# ცოდნა საქმის თავიდათავია

ციფიკურობით. უპირველესად, რა თქმა უნდა, განვახორციელეთ ორგანიზაციული ღონისძიებანი.

ახლა ჩვენთან შექმნილია სახალხო კონტროლიორთა სწავლების 361 სკოლა დარგების მიხედვით. პროპაგანდისტებად ძირითადად შევარჩიეთ დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები. სწავლებაში ჩაბმულია 6.090 სახალხო კონტროლიორი, რომლებიც 472 ჯგუფსა და 424 საგუშაგოში არიან გაერთიანებულნი. პირველმა მეცადინეობამ, რომელიც რეკომენდაციის მიხედვით ყველასათვის ერთიან თემას მიეძღვნა, ყველგან წარმატებით ჩაიარა.

# ხელფასი იგვიანებს

### ეს დიდი მნიშვნელობის საკითხია

ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს ეკუთვნის სარემონტო-სამშენებლო უბანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, „საქკოოპშენის“ უბანი, „საქკომსოფლტექნიკა“ და სხვ. აღმაშფოთებელი ის არის, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში ხელფასების გაცემა ხდება მთელი თვის, ზოგჯერ მეტი დაგვიანებით, რაც არაფრით არ არის გამართლებული. მაგალითად, ასე იყო სარემონტო-სამშენებლო კონტორაში.

ჩვეულებრივ, ხელფასის დაგვიანებით გაცემის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია საწარმოს პირად ანგარიშზე საჭირო თანხის უქონლობა, მძიმე ფინანსური მდგომარეობა. მაგრამ განა ასეა ყოველთვის?

კონტროლიორებმა ამხილეს ისეთი ფაქტებიც, როცა საწარმოს თავის ანგარიშზე თანხა საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ ხელფასის გაცემის საკითხი ბოლომდე ვერ გადაწყვიტეს. გარდა ამისა, რომ ამ საქმეში რაღაც საეჭვოც იმალება, რა პასუხი უნდა გავცეთ იმ სოფლების მშრომელებს, სადაც მაღაზიების თარიღები ცარიელია?

რაიონის სავაჭრო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტია. უფრო მეტიც, სოფლების ძირეულს, დიდი განთიადის, წიფლა-ეკაის, საწალის და წვეის მაღაზიებში სახელმწიფო ფასეულობის შეტანა დანაშაულია, რადგან აქ საქონელი უთუოდ გაფუჭდება, ხარისხი დაქვეითდება და სარეალიზაციო სახეს დაკარგავს. ეს საკითხი შევისწავლეთ წელს და ღონისძიებათა განსახორციელებლად გადავეცით რაიკოოპერატივის პარტიულ ორგანიზაციას.

ზესტაფონის რაიკოოპერატივის სახალხო კონტროლის ჯგუფში 23 მუშაკია გაერთიანებული. ჩვენი კონტროლიორები მ. კიკნაძე, რ. ჭიჭინაძე, გ. ჩხიკვაძე, ვ. მიქაშავიძე, მ. ფუტკარაძე, ნ. ქავთარაძე და სხვები დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას და კვლავაც შეუნელებლად იბრძოლებენ ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად.

**მ. ნებიერიძე,**
**ზესტაფონის რაიკოოპერატივის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.**

**თბილისის** ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადში“ ლიკვიდირებულია რთული ტექნოლოგიური ოპერაციები — ხეხვა, შეღებვა, გაპრიალება, ისინი განდევნა ახალმა მოსაპირკეთებელმა მასალამ — სანაწიბურო პლასტიკმა. ამ სიახლის დანერგვა საწარმოს 80 ათას მანეთს დაუზოგავს ყოველთვიურად.

**ამ წარმატებების მიღწევაში დიდი წვლილი შეიტანეს გაერთიანების კონტროლიორებმა.**

**სურათზე:** (მარცხნიდან) **სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი მომფანერებელი ნინო მხითარიანი, გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, ტექნიკური განყოფილების მთავარი ინჟინერი ვიტალი კასპაროვი და საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი მედეა ბლიაძე ამოწმებენ ავეჯის დეტალების ხარისხს.**

**ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

# გაბზარული ნდობა

**გულახდილად** მინდა ვთქვა, რომ ზესტაფონში ამ ბოლო დრომდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა ნეგატიური მოვლენებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას, და, ცხადია, საზოგადოების ხორცმეტებსაც მეტი რაღა უნდოდათ....

განაწყენებული კაცის ნათქვამად ნუ ჩამითვლით, თვითონ განსაჯეთ: შეიცვალა რაიონის ხელმძღვანელობა, შეიცვალა შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები და ერთბაშად გამზეურდა ყველა მანკიერება.

ახლახან სერიოზული დარღვევები აღმოჩნდა საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭოში, მეფრინველეობის ფაბრიკაში, ღორის გამოსაზრდელ და სასუქებელ ფერმაში, და, რა თქმა უნდა, სავაჭრო ორგანიზაციებში, რომელთა ხელმძღვანელებმა ნამდვილად დაკარგეს ნდობა.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ რაიონში შექმნილ სიტუაციაში ძნელი იყო სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობა და არა მარტო ძნელი, არამედ უინტერესოც, უხალისოც, რადგან ჩვენი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

რაიკოოპერატივის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრებმა მორიგი შემოწმების დროს სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს როდინოოულის № 1 მაღაზიაში. მის გამგე-გამყიდველს ა. ჩიხელიძეს ფასები აღინიშნული არ ჰქონდა საქონლის 30 პროცენტზე, აკლდა 150-ზე მეტი დასახელების ასორტიმენტი, მაღაზიაში სუფევდა ანტისანიტარია, გათავხედებული მუშაკების განთავისუფლების შესახებ. ჩვენს აზრს ყურიც არავინ ათხოვა, და ისინი კვლავ ვალებურად განაგრძობენ მუშაობას.

წლის დასაწყისში სახალხო კონტროლიორებმა კომკავშირულ „პროექტორთან“ ერთად შევაშმწმეთ ქსელში შრომის დისციპლინის საკითხი. გამოვლინდა, რომ მეორე სვირის № № 38, 84, 39, 20 მაღაზიების მუშაკები ჟ. ჯუღელი, ლ. მაჭავარიანი, გ. ლომინაშვილი, ე. ვეფშვილი, ნ. ბრეგვაძე, ლ. გორგაძე და ამავე სოფლის პურის საცხობის ბრიგადირი ზ. წაქაძე ობიექტებს საკუთარი სურვილისამებრ აღებენ, კოლმეურნეები კი საათობით ელოდებიან, ცდებიან.

ეს საკითხი რაიკოოპერატივის გამგეობამ „განიხილა“ ისე, რომ შრომის დისციპლინის დამრღვევთაგან არც ერთი არ გამოუსახია, ხოლო დასჯაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

კონტროლიორებმა ყურადღება მივაქციეთ სავაჭრო ქსელის ობიექტებში შემოსული საქონლის განაწილებას და, სამართლე გითხრათ, კურიოზებს წავაწყდით. აი ერთი ფაქტი: შორაპნის № 9 მაღაზიას წლის პირველ ორ თვეში გეგმით 17.000 მანეთი უნდა ევაჭრა, საქონელი კი 39.000 მანეთისა გამოუყვეს, იმავე პერიოდში წითელი მიწის № 7 მაღაზიას დაუგეგმეს 21.000 მანეთის რეალიზაცია და დაასაქონლეს 11.000 მანეთის ნაწარმით. ასეთი მაგალითები აქ ხშირია. ამის შედეგია, რომ ზოგიერთი მაღაზია გეგმას სანახევროდაც ვერ ასრულებს. გარდა ამისა, რომ ამ საქმეში რაღაც საეჭვოც იმალება, რა პასუხი უნდა გავცეთ იმ სოფლების მშრომელებს, სადაც მაღაზიების თარიღები ცარიელია?

რაიონის სავაჭრო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტია. უფრო მეტიც, სოფლების ძირეულს, დიდი განთიადის, წიფლა-ეკაის, საწალის და წვეის მაღაზიებში სახელმწიფო ფასეულობის შეტანა დანაშაულია, რადგან აქ საქონელი უთუოდ გაფუჭდება, ხარისხი დაქვეითდება და სარეალიზაციო სახეს დაკარგავს. ეს საკითხი შევისწავლეთ წელს და ღონისძიებათა განსახორციელებლად გადავეცით რაიკოოპერატივის პარტიულ ორგანიზაციას.

ზესტაფონის რაიკოოპერატივის სახალხო კონტროლის ჯგუფში 23 მუშაკია გაერთიანებული. ჩვენი კონტროლიორები მ. კიკნაძე, რ. ჭიჭინაძე, გ. ჩხიკვაძე, ვ. მიქაშავიძე, მ. ფუტკარაძე, ნ. ქავთარაძე და სხვები დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას და კვლავაც შეუნელებლად იბრძოლებენ ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად.

**მ. ნებიერიძე,**
**ზესტაფონის რაიკოოპერატივის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.**

# რძე უხარისხოა. რატომ?

**ცოტა** როდია ჩვენს რესპუბლიკაში რაიონი, საზოგადოებრივი მეურნეობა, ფერმა თუ ბრიგადა, რომელმაც მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში გარკვეულ ძვრებს მიაღწია. მათ შორის არის წითელწყაროს რაიონი, მისი აქტივი, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი. თანამიმდევრულად სრულდება სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მეცხოველეობის პროდუქტების — ხორცის, რძის, მატყლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი.

მაგრამ ამჯერად გვინდა ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ ვაწარმოოთ პროდუქცია, როგორია წარმოების ეკონომიკური ეფექტი, რენტაბელობა და, რაც მთავარია, პროდუქციის ხარისხი.

სწორედ ეს საკითხები გვაინტერესებდა, როცა შევისწავლეთ კოლმეურნეობების სარძიო-სასაქონლო ბრიგადებში რძის წვეის, შენაზვისა და ყველ-კარაქის ქარხანაში გადატანის მდგომარეობა, გამოვლინდა ისეთი სერიოზული დარღვევები, რომლებიც არათუ ახლა, თანამედროვე ტექნიკის პირობებში, არამედ რამდენიმე წლის წინათაც არ უნდა ყოფილიყო: ბევრგან არა აქვთ რძის წვეისა და შენაზვისათვის საჭირო ჭურჭელი, ტექნიკური დანადგარები, ხოლო სადაც აქვთ, იქაც არ იყენებენ ინსტრუქციის შესაბამისად. ამის გამო რაიონის კოლმეურნეობებში წარმოებული რძის გარკვეული ნაწილი მეორე ხარისხის ან საერთოდ უხარისხოა. როგორც შემოწმების დროს გამოირკვა, უკანასკნელ ხანს სახელმწიფოსათვის მიყიდული დაბალი და უხარისხო რძის გამო კოლმეურნეობებმა 71.200 მანეთი იზარალეს: მარტო ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის წილად ეს ზარალი 15.924 მანეთს, არბოშიკისა — 10.600 მანეთს, ზემო ქედისა — 9.800 მანეთს შეადგენს. რძის წარმოების მოცულობის მხრივ ზარალი აქვს თითქმის ყველა მეურნეობას, ფერმას, ბრიგადას.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რძის დაბალი ხარისხი, მისგან გამოწვეული ზარალი დარგის ხელმძღვანელების, სპეციალისტების, იქ დასაქმებული ადამიანების მოუქნელი, უყაირათო, უდისციპლინო მუშაობის შედეგია.

მაგალითად, ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, ქალაქ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში ხშირია მწველავთა დენადობა. ერთი წლის მანძილზე იმდენივე ადამიანია გათავისუფლებული, რამდენიც მიღებული. ახლაც აკლიათ მწველავები, მომავალი მწყემსები. არ ხდება ფურების წველისწინა დამუშავება, საკონტროლო წველა, მწველავთა სანიტარიული შემოწმება, დამაკმაყოფილებელი არ არის მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობები, სარძევე ოთახებში არა აქვთ ცხელი წყალი, რის გამოც სათანადოდ არ ირეცხება და არ მუშავდება ჭურჭელი.

შემოწმების დროს არბოშიკის კოლმეურნეობის მეძროხეობის პირველ ბრიგადაში ბრიგადირი მ. დათუკიშვილი საერთოდ არ გამოჩნდა და, ცხადია, ძროხები უიმისოდ მოწველეს და ამიტომაც რძის როდენობა არ აღურიცხავთ. ამას ისიც დაემატა, რომ მძღოლ-ექსპედიტორს ქარხანაში მიჰქონდა ცხიმიანობით განუსაზღვრელი და აუწონავი რძე, მაცივრის გამგეს უ. ბაღაშვილს კი სამი დღის ზედნადები გამოუწერავი ჰქონდა.

უარესი ფაქტები გამოვლინდა სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობაში, სადაც რძეში წყლის შერევის შემთხვევებიც იყო.

მთავარი კი ის არის, რომ ამ დარღვევების ირგვლივ პირიდაღულად არ მსჯელობენ კოლმეურნეობათა გამგეობები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა კი სახალხო კონტროლის ჯგუფები და მათი საგუშაგოები, ისინი, ვისი უპირველესი მოვალეობაა სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისადმი, პროდუქციის ხარისხისადმი, შრომის დისციპლინისადმი მეთვალყურეობა და კონტროლი. ერთი სიტყვით, არ ტეხენ განგაშს არსებულ დარღვევათა და დანაშაულობათა გამო, არ იყენებენ დამნაშავეთა მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

**შ. წიკლაური,**
**წითელწყაროს რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.**

**წყალს რძის გეგმა ჩამოაჭრინდა...**
ა. კანდელაკის ნახ.

## ჩვენი კონსულტაცია

# განცხადება-საჩივრის განხილვას — მეტი ყურადღება!

**მშრომელთა** წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების საკითხები ყოველთვის იყო და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის უურადღების ცენტრში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 28 აპრილის დადგენილებაში „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ აღნიშნულია, რომ მშრომელთა წერილები პარტიისა და ხალხის კავშირის გაფართოება-განმტკიცების, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის საშუალება და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ინფორმაციის წყაროა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 4 მარტის ბრძანებულებაში „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ აღნიშნულია, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისათვის წინადადებებით, განცხადებებით და საჩივრებით მოქალაქეთა მიმართვა პიროვნების უფლებათა დაცვის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოთა მართვაში ხალხის მიერ კონტროლის გაძლიერებას.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის შესახებ კანონით, ერთიუსტიციის, სახელმწიფო არბიტრაჟისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ მიღებული განჩინება-დადგენილებების სისწორე, ზოგჯერ კი მოითხოვენ კონტროლდ დავუწესოთ გამძიეების სწორად წარმართვას ან ორგანიზაციათა შორის სამეურნეო დავის გადაწყვეტას.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ კანონის მე-9 მუხლით სახალხო კონტროლის ორგანოები უფლებამოსილი არ არიან შეამოწმონ ან გადასინჯონ აღნიშნული ორგანოების მიერ მიღებული განჩინებები, დადგენილებები და გადაწყვეტილებები. ჩვენ ვალდებული ვართ, ასეთი შინაარსის განცხადება-საჩივრები განუხილავად გადავუგზავნოთ შესაბამის ორგანოს. ამის გამო ზოგიერთი მოქალაქე პრეტენზიას გვიყენებს, რასაც საფუძვლად უდებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების იმ ნაწილს, რომლის თანახმადაც აკრძალულია განცხადებების იმ ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიჩნეულია თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას საბჭოთა კანონების განუხრელი დაცვისადმი კონტროლის განხორციელება.

აღნიშნული დადგენილების, ბრძანებულებებისა და კანონის შესასრულებლად გარკვეულ მუშაობას ახორციელებენ სახალხო კონტროლის რესპუბლიკური და ადგილობრივი კომიტეტები.

მოქალაქეთა ნაწილი ხშირად სახალხო კონტროლის კომიტეტებს მიმართავს თხოვნით ან საჩივრით, რათა შეამოწმონ სასამართლოს, პროკურატურის, ბანკის, ფინანსური ორგანოების, ბინათმართველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, ელექტროფიკაციის, ტელევიზიის, ავტომობილთა ინსპექციის

საერთაშორისო ცხოვრება
# ლენინგრადის ჩანაწერები
საკავშირო და ახალი ამბების სამმართველოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

# ნახევარი წელი უდედამიწოდ

ორბიტიდან დაბრუნებულ კოსმონავტებთან შეხვედრა ყოველთვის ამაღელვებელი და განსაკუთრებელი მოვლენაა. და მაინც მოსკოვმა განსაკუთრებით მეგობრულად და მაგრად ჩამოართვა ხელი კოსმოდრომიდან დაბრუნებულ ლენინდ პოპოვსა და ვალერი რიუმინს.

ნახევარი წელიწადია, მათ დედამიწაზე არ დაუდგამთ ფეხი. ლენინდი და ვალერი სტარტზე მაშინ გავაცილეთ, როცა ბაიკონურის მიწაზე ჯერ კიდევ არ ყვავოდა ტიტა, შეხვედრით კი პირველ თოვლთან ერთად ვხვდებით. ექვსი თვე გაატარეს მათ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე მოწინავე ხაზზე, სადაც სრულყოფდნენ კოსმოსური ფრენის მეთოდიკას, ასრულებდნენ მეცნიერთა და სპეციალისტთა სხვადასხვა შეკვეთებს.

მოსკოვის ოლქის აეროდრომზე კოსმოსური ორბიტის ბინადართა შესახვედრად მოვიდნენ მეცნიერები, კონსტრუქტორები, კოსმონავტთა მზადების ცენტრის ხელმძღვანელები. ეს მათ და ეკიპაჟს გამოუგზავნა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება, რომელშიც აღნიშნული ხანგრძლივობის ფრენა შეფასებულია ღირსეულ. წვლილად ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, შესანიშნავ საჩუქრად სკკპ მომავალი XXVI კონგრესისათვის.

სანამ კოსმოსურეკიპაჟიანი თვითმფრინავი ბაქანს მოადგებოდეს, ვესაუბრებით ფრენის ხელმძღვანელებს. ფრენის მართვის მონაწილე ცენტრის ყველა კოლექტივი, ამბობს კოსმონავტთა მზადების ხელმძღვანელი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ა. შატალოვი, ამაყობს ორბიტაზე ლ. პოპოვისა და ვ. რიუმინის მუშაობის შედეგებით. მათ უმასპინძლეს ოთხ წვეული ექსპედიციას, მათ შორის სამ საერთაშორისო ექსპედიციას უნგრეთის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და კუბის კოსმონავტი-მკვლევარების მონაწილეობით. გადმოტვირთეს ოთხი „პროგრეს“ ხომალდი, განახორციელეს ბევრი აღდგენითი ოპერაცია, რომლებმაც გაახანგრძლივა კოსმოსში უკვე სამ წელიწადზე მეტ ხანს მომუშავე სადგურის აქტიური სასიცოცხლო რესურსი. მეცნიერებსა და სამინისტროთა უწყებათა წარმომადგენლებს უკვე გადაეცა ათასობით ფოტოკადრი და სპექტოგრამა, სადგურში კოსმოსური ტექნოლოგიის მიხედვით შექმნილი ახალი მასალების 250-ზე მეტი ნიმუში.

კოსმონავტებმა ნამდვილი თავგანწირვა მარტო სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერიმენტების პროგრამის შესრულებისას ოდინ გამოიჩინეს. სპეციალისტები უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევენ მათს წვლილს კოსმოსური მედიცინის უმთავრეს პრობლემათა გადაჭრაში. შრომისა და ყოფა-ცხოვრების საუცხოო ორგანიზაცია, თვითდისციპლინა ეკიპაჟს დაეხმარა ადვილად გამოეყვანა ორგანიზმი უწონობის მდგომარეობიდან და უმტკივნეულოდ შეჰგუებოდა დედამიწის სიმძიმეს.

და აი, გმირები უკვე ტრაპზე ჩამოდიან. ეკიპაჟის მეთაური დავალების შესრულებას უპატაკებს. კოსმონავტებს მიართვეს ვარსკვლავეთთა ქალაქში გახარებული ყვავილები. ნახევარწლიანი განმორება არც ნათესავებისთვის ყოფილა იოლი გამოცდა — სიხარულის ცრემლმა დაუნამეს მათ სახეები.

კულტურის სახლში გამართულ მიტინგზე გამოვიდნენ კონსტრუქტორები, კოსმონავტთა მზადების ცენტრის ხელმძღვანელები, ეკიპაჟის წევრები. მათი სიტყვები აღსავსეა იმის რწმენით, რომ საბჭოთა მეცნიერები, ინჟინრები, კოსმონავტები, ყველა, ვინც მონაწილეობს კოსმოსური ფრენის ორგანიზაციაში, თავიანთი გარჯით ღირსეულ წვლილს შეიტანენ მომავალ ხუთწლედში საბჭოთა ქვეყნის წარმატებებში.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

**ნ. ჟელეზნოვი,**
(საკადესის კორ.).

**ვარსკვლავეთთა ქალაქი.**

სურათზე: შეხვედრა ვარსკვლავეთთა ქალაქში. საკადეს-საქინფორმის ტელეფოტო.

# მოვლენის წინ

## ინსტიტუტი ნახევარი საუკუნისაა

ორმოცდაათი წელი შეუსრულდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს. თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე იგი რესპუბლიკის დიდ სამეცნიერო და ორგანიზაციულ-მეთოდიკურ (სამედიცინო ცენტრად იქცა.

ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ო. ბ. ბათიაშვილი გვიამბობს ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე, მძიმე სვლთან ბრძოლის პრობლემებზე.

— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, — ამბობს მან, — ტუბერკულოზს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სხვა სოციალურ დებათა შორის. ამასთან ერთად ტუბერკულოზისა სამედიცინო დაავადებების მკურნალობის, მკურნალობის, იფიქრეთ, მეთოდებისა და საჭირო სამკურნალო საშუალებათა უქონლობის გამო ტუბერკულოზით ავადმყოფებიდან ყოველი მეორე ავადმყოფი.

ღღეს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ზრუნვის, ავადმყოფობასთან ბრძოლა ბრძოლის, ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და ტუბერკულოზის პრობლემების მეცნიერული კვლევის შედეგად, საშინელი სენი გაცილებით უფრო ნაკლებად საშიში გახდა. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საშუალებათა დიდი არსენალი, მათი გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკა, მკურნალობის ეფექტიანი ქირურგიული მეთოდები, თუ ავადმყოფობა დროულად გამოვლინდა, მისი სრულიად განკურნების საშუალებას გვაძლევს. ბოლო ოცი წლის მანძილზე ტუბერკულოზით დაავადება ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე ათეულჯერ შემცირდა.

ავადმყოფობასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიქმნა ტუბერკულოზის ინსტიტუტის კოლექტივს. თუ მისი დაარსების წელს ინსტიტუტში სულ 19 ექიმი იყო, ახლა ჩვენს კოლექტივში 450-მდე კაცია, მათ შორის 32 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია. მედიკოსთა განკარგულებაშია უახლესი სამედიცინო აპარატურა.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა შეასრულეს 1200-ზე მეტი ნაშრომი, გამოსცეს 30 მონოგრაფია და სხვადასხვა სახელმძღვანელო ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის შესახებ. ისინი რეგულარულად კითხულობენ მოხსენებებს საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკურ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე.

მეცნიერული გამოკვლევების ძირითადი მიმართულებებია მთისა და ზღვის კლიმატის პირობებში ტუბერკულოზად ავადმყოფთა სანატორიულ-კლიმატური მკურნალობის ეფექტიანობის გადიდების მეთოდების შემუშავება, აგრეთვე ზოგიერთი სახეობის დაავადების მკურნალობის ქირურგიული მეთოდების გაუმჯობესება.

მეცნიერულ გამოკვლევებს ვეწვიით კომპლექსურად, ქვეყნის მრავალ სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებასთან თანამეგობრობით. ქართველი ფთიზიატრები ტუბერკულოზის საერთაშორისო კავშირის, საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოებათა წევრები არიან, შედიან საპრობლემო კომისიებში.

სკკპ XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესება. ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივს თავისი წვლილი შეაქვს ავადმყოფობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების ძიებაში, პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებაში. ჩვენი მიზანია კიდევ უფრო შეავიროთ ტუბერკულოზით დაავადება.

# ...არ ჩქარობენ

**შაქრის ჭარხლის ამოღება ჭიანურდება**

მეორედ კაცს გულს რომ გაუხარებს, ისეთი მზიანი შემოდგომაა საბრალო ოსეთში. დაიკრიბა ყურძენი, მთავრდება ვაშლის მოგეა, მაგრამ რაღაც არ ჩქარობენ მექარხლეობის კოლეფურობები და საბჭოთა მეურნეობები. კარგმა ამინდმა გაათამამათ ბაგონიათ, ასე გაგრძელდებაო. შაქრის ჭარხლის ამოღება ერთ თვის წინათ უნდა დაწყებულიყო, ძირითადად ახლა დამთავრებულიც უნდა იყოს, მაგრამ ბევრთ მეურნეობაში ამ საქმეს ვერ ამოძრავებენ. ზნაურის რაიონის ავნეგისა და გუგუთის კოლმეურნეობების, ცხინვალის რაიონის არცევის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები დარდელად აცხადებენ, ჯერ ხილის კრეფაც არ დაგვმთავრებია, დროს ჭარხლიაო! მათ ორგანიზებულად ვერ მოაწყვეს საშეფოდგომო სამუშაობი, მოშლილა შრომის დისციპლინა, ამიტომაც არ ჰყოფნით მუშახელი, ამიტომაც არ დაუწყიათ შაქრის ჭარხლის ამოღება.

ზამთარი ცხრა მთას იქით როდის კავკასიონის მთები უკვე ჩაფთავა. ამ მეურნეობათა ხელმძღვანელებს დაავიწყდათ წინა ოქმის მწარე გაკვეთილები, როდის ეინვასა და თოვლში იღებდნენ შაქრის ჭარხლის მოსავალს. არიან ხელებს დღემდე ცხინვალის შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტიდან სათანადო ქვითრებიც კი ... ...ეიღიათ.

...ინტიტუტად მოდის შაქრის ...ბლით დატვირთული მანქანები ...ეგ პუნქტში — დღეში 20-25 ...ანა, ისიც ძირითადად ერედ... საბჭოთა მეურნეობიდან. ერ... ...ბ განრიგის დაცვით და ორ... ...ებულად მიმდინარეობს შა... ...ჭარხლის ამოღება. მოსავა... ...ც კარგია, თითო თავი ჭარხალი ...700 გრამს, ზოგჯერ კილოგ... ...ც იწონის. იმედოვნებენ ჰეტუბერკულოზის პრობლემების მეცნიერული კვლევის შედეგად, საშინელი სენი გაცილებით უფრო ნაკლებად საშიში გახდა. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საშუალებათა დიდი არსენალი, მათი გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკა, მკურნალობის ეფექტიანი ქირურგიული მეთოდები, თუ ავადმყოფობა დროულად გამოვლინდა, მისი სრულიად განკურნების საშუალებას გვაძლევს. ბოლო ოცი წლის მანძილზე ტუბერკულოზით დაავადება ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე ათეულჯერ შემცირდა.

ავადმყოფობასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიქმნა ტუბერკულოზის ინსტიტუტის კოლექტივს. თუ მისი დაარსების წელს ინსტიტუტში სულ 19 ექიმი იყო, ახლა ჩვენს კოლექტივში 450-მდე კაცია, მათ შორის 32 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია. მედიკოსთა განკარგულებაშია უახლესი სამედიცინო აპარატურა.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა შეასრულეს 1200-ზე მეტი ნაშრომი, გამოსცეს 30 მონოგრაფია და სხვადასხვა სახელმძღვანელო ტუბერკულოზის დიაგ-

# ...ერ ჩქარობენ

**შაქრის ჭარხლის ამოღება ჭიანურდება**

...ეშმარ საბჭოთა მეურნეობებიდან მოტანილი ჭარხალი კი ჩრდილში ამოსულ სტაფილოსავით დაწვრილებულა. ხუთი თავი ას გრამსაც ძლივს იწონის. ეს იმიტომ, რომ თავის დროზე არ შეიტანეს სასუქები, ნათესები არ დაამუშავეს აგროწესების მიხედვით. ასეთი მეურნეობების წყალობით საშიშროება ელის ოლქის მექარხლეთა ვალდებულებების შესრულებას — მისცენ სამშობლოს თვრამეტი ათასი ტონა ხარისხოვანი ჭარხალი.

27 ოქტომბრისათვის ჭარხლის მიმღებ პუნქტში მიტანილია 2.741 ტონა ჭარხალი. ოლქში ეს კულტურა 480 ჰექტარზე უთესიათ. დღეისათვის ამ ფართობის მეხუთედიც არ არის ამოღებული. შაქრის ჭარხლის მიმღებ პუნქტში დამცლელი და დამტვირთავი მანქანები ცდება. აქ ყველა პირობა არის შექმნილი, რომ დღეში 1000-1500 ტონა შაქრის ჭარხალი მიიღონ და გაუგზავნონ აგარის შაქრის კომბინატს. სეზონისათვის კარგად მოემზადა მიმღები პუნქტი (დირექტორი — ფ. ქესანაშვილი), დაიდგა ახალი ოცდათონიანი სასწორი, ლაბორატორია შეივსო საჭირო ინვენტარ-ხელსაწყოებით, მთელ ტერიტორიაზე ანათებენ პროჟექტორები, რომ ღამითაც შეუფერხებლად იმუშაონ, მოასფალტდა მისასვლელი მოედანი. პუნქტის მუშაკები ჭარხალს ელიან, დღეში ორი-სამი ათეული მანქანა ჭარხალი თუ გამოჩნდება. ეს ძალზე ცოტაა, ამ ტემპით შორს ვერ წავალენ.

მალე კარს მოაკაკუნებს ზამთარი. მაშინ ბარე შეფუცხუნდებიან მეურნეობათა ხელმძღვანელები. მანქანებსაც გამოძებნიან და მუშახელსაც, მაგრამ გაჩნდება ახალი დაბრკოლება — შაქრის ჭარხლის მიმღებ პუნქტს ერთბაშად მოაწყდება ასობით მანქანა და იქნება ერთი აურზაური.

ახლავე უნდა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები, რომ შესრულდეს დავალება — სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა აგარის შაქრის კომბინატს მიაწოდოს გეგმით გათვალისწინებული 18.500 ტონა შაქრის ჭარხალი.

სამხრეთ ოსეთის მეჭარხლეობის მეურნეობებს შევახსენებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „1980 წლის შაქრის ჭარხლის მოსავლის დროული აღების, გადაზიდვისა და გადამუშავების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“. ამ დადგენილების შესრულება მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობას. ოლქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გადამწყვეტი ღონისძიებები უნდა განახორციელონ, რომ დაჩქარდეს შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება და გადამუშავება. განსაკუთრებით უნდა გაუმჯობესდეს მეურნეობების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საქმე. ოლქის მთელ რიგ მეურნეობებში ამოღებული შაქრის ჭარხალი შრება, ხარისხსა და წონას კარგავს, ამიტომ სწრაფად უნდა გადავზიდოთ შაქრის კომბინატში.

აგარის შაქრის კომბინატისათვის შაქრის ჭარხლის მიწოდება რომ დაჩქარდეს, საჭიროა ცხინვალის შაქრის ჭარხლის პუნქტისათვის შეიქმნას ათვაგონიანი შემადგენლობა. ამას ალბათ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო გაითვალისწინებს.

**გ. თედეევი,**
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

# მშვიდობის საკეთილდღეოდ

**საზღვარგარეთის** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების დიდ ყურადღებას აპყრობს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება, სიტყვები, რომლებიც კრემლში წარმოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ, ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომიხიის თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა.

**ეთიოპიის** პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში ცენტრალური ადგილი უკავია სსრ კავშირში მენგისტუ ჰაილე მარიამის ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტთან დაკავშირებულ მასალებს, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა რეგულარული შეხვედრები ადასტურებს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ურთიერთობის მჭიდრო და მეგობრულ ხასიათს, აგრეთვე იმას, რომ სსრ კავშირსა და ეთიოპიას, როგორც მშვიდობის საქმის, თანასწორობისა და თავისუფლების ქომაგებს, აკავშირებთ განუზრელად მზარდი ურთიერთობა, რომელსაც საფუძველი დაუდო მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებამ. გაზეთების სტატიებსა და კომენტარებში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უანგარო ინტერნაციონალისტურ დახმარებასა და მხარდაჭერას ეთიოპიის რევოლუციური მონაპოვრების დაცვა-განმტკიცებაში, მისი ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში. როგორც ეთიოპიის ენის საგაზეთოს ცნობაშია აღნიშნული, მენგისტუ ჰაილე მარიამმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს — ლენინის პარტიის ღირსეულ ხელმძღვანელს, რომელმაც მთელი ცხოვრება მოახმარა კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, ქვეყნად მშვიდობისათვის, ხალხთა მატერიალური კეთილდღეობისა და აყვავებისათვის ბრძოლას, ეთიოპი ხალხისა და მთავრობის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის საქმეში, ეთიოპიის რევოლუციის განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკების შესახებ ცნობებს ჩეხოსლოვაკიის გაზეთები აქვეყნებენ სათაურებით: „პროგრესული ძალების მხარეზე“, „საერთაშორისო თანამშრომლობის ნიმუში“, „მშვიდობისა და კეთილი ნების პოლიტიკა“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის „სოციალისტური ეთიოპიის საპატიო ვარსკვლავის“ გადაცემის შესახებ რომ იუწყება, „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელს ეთიოპიის უმაღლესი ჯილდო მიენიჭა როგორც გამორჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც ახასიათებს პოლიტიკური გამჭრიახობა და ვაჟკაცობა, და, რომელიც, როგორც კომუნისტი, დაუღალავად და თანამიმდევრულად იბრძვის არა მარტო საბჭოთა ხალხების, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის.

საბჭოთა ხელმძღვანელმა მკაცრად დაგმო სპარსეთის ყურის რაიონში ამერიკის საზღვაო ფლოტის გაძლიერება, წერს ლიბანის „ან-ნიდა“. გაზეთი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ან-ნიდა“ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემულ მოწოდებას შემცირდეს და შეიზღუდოს სამხედრო აქტიურობა იქ, სადაც გადის დედამიწის ეკონომიკური ცხოვრება. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოსკოველი კორესპონდენტი, რომელსაც მოჰყავს კრემლში გამართულ სადილზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის მნიშვნელობა, წერს, რომ, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, სსრ კავშირი მუდამ მზად არის განახორციელოს სეტრიოზული ღონისძიებანი დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ.

# ...ეტ ფ.ართ...
# ...ზოგადოებრ...ბას

**ვაშინგტონი,** 30 ოქტომბერი. შეერთებული შტატები უაღრესად საიდუმლო ვითარებაში ახორციელებს ფართო სამზადისს კოსმოსურ სივრცეში ომის წარმოებისათვის, რითაც საფრთხეს უქმნის თვით კაცობრიობის ცივილიზაციის არსებობას. ეს ნათქვამია გავლენიანი საკვლევი ინფორმაციის „სამხედრო პრობლემათა საინფორმაციო ცენტრის“ აქ გავრცელებულ ბიულეტენში. ორგანიზაციამ ბიულეტენში დაგმო პენტაგონი, რომელიც ცდილობს გამალებული შეიარაღება კოსმოსის სფეროში გადაიტანოს.

ამერიკის შეერთებული შტატები, ნათქვამია დოკუმენტში, სულ უფრო აქტიურად იყენებს დედამიწის ირგვლივ სივრცეს სამხედრო მიზნებისათვის, სხვადასხვა კოსმოსური სამხედრო პროგრამისათვის განკუთვნილ ყოველწლიურ სამხედრო ასიგნებათა საერთო თანხა ამჟამად 7 მილიარდ დოლარს აღწევს. ახლა პენტაგონი ქმნის არა მარტო უახლეს საჯაშუშო თანამგზავრებს, არამედ ეწევა კიდეც კოსმოსური ომის საშუალებათა შემუშავება-წარმოებასაც.

პენტაგონის სამსახურშია ჩაყენებული მაქოსები კოსმოსური ხომალდის „შატლის“ შექმნის პროგრამაც, რომელსაც თავდაპირველად დიდი ამბით უწევდნენ რეკლამას როგორც „უაღრესად სამშვიდობოს“. კოსმოსის ამგვარი მილიტარიზაცია, აღნიშნულია ბიულეტენში, არ შეიძლება არ იწვევდეს სერიოზულ შეშფოთებას, მით უმეტეს, რომ მის განხორციელებას უმალავენ არა მარტო ფართო საზოგადოებრიობას, არამედ თვით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებსაც. ომი კოსმოსში, ნათქვამია ბიულეტენში, გარდაუვალად გადაიქცევა დამანგრეველ ომად დედამიწაზე.

# კვლავ დაძაბული ვითარებაა

**ბეირუთი.** 30 ოქტომბერი. ლიბანის სამხრეთში უაღრესად დაძაბული ვითარება შეიქმნა.

ისრაელი აგრესორებისა და მათი დამქაშების — ჰადადის სპარატისტების არტილერიამ მასირებული ცეცხლი დაუშინა ჰასბაიის, კავკაბისა და ბურგაზის დასახლებულ პუნქტებს სამხრეთის აღმოსავლეთ სექტორში და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა მათ. არის მსხვერპლი მშვიდობიან ლიბანელებს შორის, რომელთაგან ბევრი მძიმედ დაიჭრა. ლიბანის სამხრეთ რაიონში ტელ-ავივის შეიარაღებული პროვოკაციის ესკალაციას თან ახლავს ისრაელის სასწრაფო საომარი სამზადისი, რომლის მიზანია გაფართოოს აგრესია და შექმნას წანამძღვრები ქვეყნის ამ ნაწილის შემდგომი ანექსიისათვის. როგორც გაზეთები „ან-ნიდა“ და „ს-სა-ფირი“ იუწყებიან, სეპარატისტთა კონტროლს დაქვემდებარებულ სამხრეთ ლიბანის სასაზღვრო ზოლში გადაჰყავთ ისრაელის არმიის დამატებითი ქვეგანაყოფები, რომლებიც ტანკებითა და მძიმე არტილერიით არის გაძლიერებული, აგებენ ზღუდეებს.

უაღრესად დაძაბული ვითარებაა აგრეთვე ლიბანის დედაქალაქის აღმოსავლეთ რაიონებში, განსაკუთრებით აინ არ-რუმანსა და ფურნ აშშუბაქში, სადაც კიდევ უფრო გააფთრებული გახდა შეიარაღებული შეტაკებანი მემარჯვენეექრისტიანული „ლიბანის ფორონტის“ — კატაიბისა და ეროვნულ-ლიბერალური პარტიების შორის. ამ შეტაკებათა შედეგად ორივე მხარემ გამოიყენა სხვადასხვა იარაღი, მათ შორის, მძიმე არტილერია.

**ვაშინგტონი.** ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში გაიმართა არჩევნებისწინა კამათი შეერთებული შტატების პრეზიდენტობის პოსტზე ორ მთავარ კანდიდატს დემოკრატ ჯ. კარტერსა და რესპუბლიკელ რ. რეიგანს შორის. ოფიციალურად კამათის მიზანი, როგორც მისმა ორგანიზატორებმა უწოდეს ამ პაექრობას, ის იყო, რომ „გაეჩკვიათ კანდიდატთა პოზიციები“. მაგრამ სინამდვილეში კამათი მორიგ არჩევნებისწინა წარმოდგენად გადაიქცა.

როგორც ცნობილია, ახლანდელი საარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ აღიზიანებს ამომრჩეველებს, რომლებიც ვერ ხედავენ ვერავითარ არსებითს განსხვავებას კანდიდატთა პლატფორმებში. უკანასკნელი შეფასებების თანახმად, 4 ნოემბერს არჩევნებზე არ გამოცხადდება ხმის უფლების მქონე ამერიკელთა დაახლოებით ნახევარი.

იმ მიზნით, რომ როგორმე მოეწონებინათ ამომრჩეველებისათვის თავიანთი პროგრამები, ჯ. კარტერი და რ. რეიგანი, როგორც ეს ამერიკის პოლიტიკურ პრაქტიკაშია მიღებული, თავს ესხმოდნენ და ნაირ-ნაირ ბრალდებებს უყენებდნენ ერთმანეთს. მათი გამოსვლები უხვად შეიცავდა ზოგად ფრაზებს, რიტორიკებსა და გულუხვ დაპირებებს. მაგრამ მთელმა ამ პაექრობამ ვერ დამალა მთავარი: ორივე კანდიდატი, უწინარეს ყოვლისა, ზრუნავს მონოპოლიების, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებისათვის.

ჯ. კარტერმა და რ. რეიგანმა მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალიერების, ბირთვული შეიარაღების შემდგომ ზრდას, ქვეყნის ისტორიაში ისედაც რეკორდული სამხედრო ხარჯების გადიდებას, საგარეო პოლიტიკის განხორციელებას „ძალის პოზიციიდან“.

ამასთანავე ორივენი ყოველნაირად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ტელევიზიაყურებლები, რომ ისინი „მშვიდობის შენარჩუნებას“ ესწრაფვიან, ვინაიდან იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ რიგითი ამერიკელების განწყობილებისათვის, რომლებსაც აშფოთებთ ომის სამზადისის კურსის მოსალოდნელი საშიში შედეგები.

შეეხო რა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების საკითხს, ჯ. კარტერმა თქვა, რომ რ. რეიგანი არასდროს არ „უჭერდა მხარს ინიციატივებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის დარგში, ახლა კი „უბრალოდ სურს დაასამაროს“ ეს ხელშეკრულება. ეს კი ნიშნავს, რომ განახლდება ძალზე საშიში გამალებული შეიარაღება. ასეთი პერსპექტივა სერიოზულად აწუხებს ამერიკელებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთევროპელ მოკავშირეებს. ამასთანავე პრეზიდენტს არაფერი უთქვამს იმაზე, თუ კონკრეტულად რა გეგმებს ისახავს ადმინისტრაცია სენატის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის მიმართ. როგორც ცნობილია, სწორედ ახლანდელმა ადმინისტრაციამ გაყინა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულება, როცა სენატს გაურკვეველი ვადით გადაადებინა მისი განხილვა.

კამათის მონაწილენი შეეხნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც ამომრჩეველთა დიდ შეშფოთებას იწვევს. ბირთვული იარაღის მორიგი გამოცდა, რომელიც ჩინეთმა მოაწყო ატმოსფეროში, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ უაღრესად საჭიროა უმოკლეს ვადაში შემუშავდეს და მიღებულ იქნეს ყოვლისმომცველი მრავალმხრივი ხელშეკრულება ბირთვული გამოცდის აკრძალვის შესახებ, თქვა კანადის წარმომადგენელმა ა. მენზისმა.

გასაკვირი არ არის, რომ სსრ კავშირის ინიციატივები, რომელთა მიზანია ბირთვული იარაღის გამოცდის საყოველთაო და სრული აკრძალვის შესახებ უსწრაფესი მორიგების მიღწევა, გაბორტებას და ცილისწამების მთელ ნიაღვარს იწვევს ჩინეთის წარმომადგენელთა მხრივ, თქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში გამოსვლისას სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. თ. პეტროვსკიმ.

# ...ეტ...ბ...ბ...ბ

# კარგად გემსახუროთ, ბიჭებო!

...ჯერჯერობით უჭირთ მწყობრად სიარული, ბრუნი, მაგრამ უკვე ერთ თვეში ისწავლიან ამას. ჯერჯერობით არც სამხედრო სპეციალობა გააჩნიათ, მაგრამ მალე დაამორჩილებენ საბრძოლო ტექნიკას. თავიანთ სიცოცხლეში პირველად გაირინდნენ ისინი მწყობრში... შემოდგომის ქარი აფრიალებს დროშებს პლაცზე, მზის ათინათი დასთამაშებს მოლაპლაპე ორკესტრის საყვირებს... აცილებენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა შვილებს.

რესპუბლიკურ შესაკრებ პუნქტში საზეიმო მიტინგია. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ასობით ჭაბუკი მიემგზავრება თბილისიდან სამხედრო სამსახურის გასაელად მოსკოვის ოლქში, რათა ორი წლის შემდეგ დაბრუნდნენ დავაჟკაცებულნი, დაკაცებულნი. მცხეთიდან და ხელვაჩაურიდან, ბორჯომიდან და თელავიდან ჩამოსულმა ყმაწვილებმა მოიყარეს თავი აქ, გაეცნენ მომავალ მეთაურებს, პირველად იგემეს ჯარისკაცული საქმელი. ბევრმა მათგანმა დაამთავრა ავტომობილის მართვის კურსები, დოსაააფის რადიოწრეები, გარსშემორტყმოდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები. ჩვენმა თაობამ ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი. ახლა თქვენ, საბჭოთა სახელმწიფოს დამცველები ხართ. პატიოსნად იმსახურეთ! გახსოვდეთ, თქვენი დისციპლინიანობის, კულტურის მიხედვით იმსჯელებენ მთელ საქართველოს!

ტრიბუნაზე ასული მოკლედ თმაშეკრეჭილი ჭაბუკები მდელვარებას ვერ იოკებენ.

—ყველაფერს ვიღონებთ, რათა გავხდეთ ნამდვილი ჯარისკაცები, რათა თქვენ, ვინც დღეს გზა დაგვიოცეთ, არ შეგარცხვინოთ,— ამბობს ცაგერელი გასაწვევი რ. კოპალიანი.

გასაწვევებს აცილებენ ახლობელ-ნათესავები, მეგობრები. თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის ფეიქარი ნ. კოსოლოვსკაია ჯარში ვაჟს იგორს აცილებს.

— ალბათ, აქ მოსული ყოველი დედა იგივეს განიცდის, რასაც მე,— ამბობს იგი.— ვღელავ შვილის გამო. არმიაში სამსახური, როგორც ცნობილია, არც ისე იოლი რამ არის, მაგრამ ვამაყობ, ასე რომ მომესწრო, სამშობლოს დაცვა რომ მიანდვეს.

...საზეიმო ნაწილი დამთავრდა. გასაწვევთა წინაშე გამოდის თბილისის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს ფოლკლორული ანსამბლი „ეგრისი“.

შემდეგ კი ჩონგურის ხმას სამხედრო მარში ცვლის. მომავალ მეომართა კოლონები მწყობრი ნაბიჯით მიემართებიან ვაგონებისაკენ... (საქინფორმი).

# ПОЕТИС ШУАДГА

## სიტყვა მეგობარს

**ზურაბ კუხიანიძეს** 50 წელი შეუსრულდა. მისი პირველი ლექსები 30 წლის წინათ გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში და თავიდანვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. მას შემდეგ იგი ნაყოფიერ შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა მშობლიურ ქუთაისში.

პირველ ლექსებს მალე მოჰყვა საინტერესო პოეტური კრებულები: „ბროწეულების ცეცხლი“, „გულისცემა“, „ათინათი“, „როცა სისხლი ლაპარაკობს“, „როგორც ცერზე მიმინო“...

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ სერიით „ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკა“, გამოსცა პოეტის რჩეული ლექსების კრებული.

პოეტი მთარგმნელობითს მოღვაწეობასაც ეწევა. მან თარგმნა კ. ბალმონტის, ს. ესენინის, ბ. დუდინისა და სხვათა ლექსები და პოემები.

ზ. კუხიანიძე ხშირად არის მიწვეული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მან დაწერა მხატვრული ნარკვევები კოლის ნეოვარკუნძულსა და კამის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე.

ამჟამად ზურაბ კუხიანიძე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელობს, მისი ენერგიული მუშაობის შედეგია ის წარმატებანი, რომელსაც ქუთაისის ფილიალმა მიაღწია საგამომცემლო საქმიანობაში.

ვუსურვოთ ზურაბ კუხიანიძეს შემდგომი წარმატებანი შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ მუშაობაში.

**გურამ ფანჯიკიძე.**
**გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი**

ქვემოთ გთავაზობთ ზურაბ კუხიანიძის ერთ ლექსს „ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოსული კრებულიდან.

## ოქტომბერი იმერეთში

**კრამიტის ნითელ სახურავებზე**
**ქარვისფერ ბაგეზე,**
**მარწყვისფერი დადის მამალი.**

**დათოვლილ მთიდან**
**სუსხიანი ქარი უბერავს**
**და ფრიალებენ**
**მტვრიან სხვენზე კაკანათები...**
**დამსგავსებია მზე შინაბერას,**
**კეკლუცობს,**
**მაგრამ ძველებურად ვეღარ**
**ანათებს.**

**პა, სადაც არის,**
**ღობეს უნდა მოადგეს დედა**
**და მომაფრქვიოს ბიის**
**სურნელი....**
**მაგრამ წაფერდილ ღობეზე,**
**ვხედავ,**
**გადმოკიდულა გაძარცული**
**ტოტი კუნელის.**

**მაყვლის ეკლებზე**
**წვერს იჩეჩავს ბაბუანვერა,**
**ვდგავარ ღობესთან**
**გარინდული,**
**ფიქრით გართული...**
**და ბალახებმა,**
**ვით ერთგულმა**
**ქონდრისაცებმა,**
**თბილი ხელები ცივ მუხლებზე**
**მომიფათურეს...**

# საიუბილეო საღამო

**ქუთაისი**, 30 ოქტომბერი. (საქინფორმი). პოეტ ზურაბ კუხიანიძეს 50 წელი შეუსრულდა. ქალაქის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ეს თარიღი. ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა პოეტის საიუბილეო საღამო.

სამშობლოსადმი სიყვარულით გამსჭვალული ზ. კუხიანიძის ლექსები თარგმნილია რუსულ და ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა სხვა ენებზე. დიდი მხატვრული ოსტატობით არის დაწერილი მისი ნარკვევების სერია სოციალისტური შრომის გმირებზე, კამის საავტომობილო ქარხანაზე და სხვა.

ზურაბ კუხიანიძე არის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის დირექტორი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

## რეპორტაჟი რესპუბლიკური შესაკრებიდან

# ღვაწლის დაფასება

### აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ძეგლის გახსნა

**29 ოქტომბერს** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში გაიმართა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის შ. ი. ნუცუბიძის ძეგლის გახსნა.

ამასთან დაკავშირებით, აქ მოეწყო მიტინგი. მიტინგზე გამოსულებმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ფრანგიშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ ილაპარაკეს შალვა ნუცუბიძის, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის დიდი წვლილის შესახებ სამმეცნიერო მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

მეცნიერის კალამს ეკუთვნის შრომები, რომლებიც ეძღვნება ქართული ფილოსოფიის ისტორიას, ლოგიკის პრობლემებს, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკას. მისი ცხოვრების მთავარი საქმე გახდა დიდი შოთას შემოქმედების კვლევა. შ. ნუცუბიძემ შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი „რუსთაველის შემოქმედება“; წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ გამოიკვლია აღმოსავლეთის გავლენა ევროპის კულტურაზე. მის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

მსოფლიო აღიარება მოუპოვა შ. ნუცუბიძეს გამოკვლევამ პეტრე იბერის შესახებ, რომელშიც მან ამოხსნა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მრავალსაუკუნოვანი საიდუმლო.

...დამსწრეთა ტაშის გრიალშიბიუსტს ჩამოხსნეს თეთრი ტილო. იგი შექმნეს მოქანდაკემ ოფარულავამ და არქიტექტორმა დ. ბორბენაძემ. ძეგლის კვარცხლბეკი ყვავილებს ითაგულებით შეამკეს. (საქინფორმი).



## ᲐᲮᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

# სატირის სიმართლე

**დღეს, 31 ოქტომბერს** ახალ სეზონს ხსნის მინიატიურების სახელმწიფო თეატრი. ამასთან დაკავშირებით „კომეხსტის“ კორესპონდენტს ესაუბრება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **თენგიზ ჩანტლაძე:**

— 1980-81 წლების სეზონი ჩვენმა თეატრმა „ოფიციალურად“ უკვე დაიწყო — სულ რამდენიმე დღეა რაც დავბრუნდით ფეხბურთიდან, სოხუმისა და გალის მაყურებელს ჩვენი საუკეთესო დადგმები ვუჩვენეთ.

ახალ სეზონს ვხსნით ილია ჭავჭავაძის „ლუარსაბ თათქარიძით“, რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი. მიმდინარე რეპერტუარში ისევ გვექნება „ნაკრები“, „გამარჯვების ღიმილი“, „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“, „ზოგიერთების მზის დაბნელება საქართველოში“ და სხვ., რომლებმაც უკვე წარმოაჩინეს და ჩამოაყალიბეს თეატრის სახე და მრწამსი. სწორედ ამ სპექტაკლებით ვცდილობდით გამოგვეშუერებინა ყოველივე დრომოჭმული, რაც საზოგადოების განვითარებისათვის ხელშემშლელია.

ჩვენს მაყურებელს უთუოდ გახსოვს ის ამბავი, რომ ახალი სეზონისთვის განხორციელდა თეატრის შენობის რეკონსტრუქცია. ეს უფრო დარბაზს ეზება, სადაც მოეწყო ამფითეატრი, დიდება ახალი სავარძლები, განახლდა ფოიეები, დამონტაჟდა რადიოაპარატურა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი წარმოდგენა რადიოფიცირებული იქნება და მას რუსულ ენაზე მოისმენს არაქართველი მაყურებელი.

ახალ სეზონში თეატრი რამდენიმე პრემიერას გამართავს. ორ მათგანზე უკვე ვმუშაობთ. ერთია ზ. რცხილაძის პიესა „ოთხი ბედნიერება“, რომლის თანაავტორი მეც ვარ; მეორე მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“.

# ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**დღეს** გაიმართება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეათე ტურის მატჩები. „არარატი“ უმასპინძლებს მინსკის „დინამოს“, „ყაირათი“ — მოსკოვის „დინამოს“, „ტორპედო“— „ფახთაქორს“, „ნეფთჩი“ — ცსკას, კიევის „დინამო“ — „სპარტაკს“, „ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივს“, „შახტიორი“ —დონის როსტოვის არმიელთა გუნდს, „კარპატი“— „ყუბანს“, „ზენიტი“ — თბილისის „დინამოს“.

**თბილისის „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში „ზენიტთან“ 72 შეხვედრა აქვს გამართული. აქედან თბილისელებმა მოიგეს 37 მატჩი, 19-ჯერ ფრეს დასჯერდნენ, ხოლო 16 შეხვედრა წააგეს. ბურთების შეფარდებაა 128:81 დინამოელთა სასარგებლოდ.** ვნახოთო, როგორ დამთავრდება დღევანდელი, 73-ე მატჩი. მის შედეგს ერთი გუნდისთვისაც და მეორისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: გამარჯვებული ხომ საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შანსებს კიდევ უფრო განმტკიცებს.

**გაიმართება** პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ასპარეზობის ორმოცდამეექვსე ტურის შეხვედრები. ამ მეჯიბრეობაში მონაწილე საქართველოს გუნდებმა ქუთაისის „ტორპედომ“ და ლანჩხუთის „გურიამ“ სტუმრად ითამაშეს. „ტორპედო“ დამარცხდა ვორონეჟში ადგილობრივ „ფაკელთან“ (0:3), „გურიამ“ კი ფაადგო შეხვედრა იაროსლავლის „შინიკთან“ (2:5).

გათამაშდას 59 ქულით ლიდერობს სიმფეროპოლის „ტავრია“. ქუთაისის „ტორპედოს“ და ლანჩხუთის „გურიას“ 41-41 ქულა აქვთ და მეცამეტე-მეთოთხმეტე ადგილებს ინაწილებენ.

**გრძელდება** მეორე ლიგის ზონებში გამარჯვებულთა პირველ ლიგაში გადასასვლელი ფინალური ტურნირები ჯგუფებში. მორიგი ორი მატჩის შედეგები ასეთია: **მეორე ჯგუფი.** პავლოდარის „ტრაქტორი“- ტოლიატის „ტორპედო“— 1:0; **მესამე ჯგუფი.** კიევის ასკ-ბარნაულის „დინამო“ — 2:0.

**ბერლინი** მოეწყო მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი (მეოთხე ჯგუფი) შვეიცარიისა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებს შორის. გიიმარჯვეს ნორვეგიელებმა ანგარიშით 2:1. ამ ჯგუფში 3-3 ქულა აქვთ რუმინელებს (4 შესაძლებლიდან) და ნორვეგიელებს (6-დან). ინგლისელები 2 ქულით (4-დან) მესამე ადგილზე არიან. შვეიცარიელებს ერთი მატჩის შემდეგ არცერთი ქულა არა აქვთ, ხოლო უნგრელებს ჯერ არ უთამაშიათ.

# სატურნირო ორბიტა

**მძლეოსნობა.** სოხუმში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება სამხტომში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის პრიზზე. ასპარეზობის მონაწილე 13 ქალაქის 27 სპორტსმენიდან უძლიერესის წოდება მოიპოვა ეკატერინა ნ. კორობეკოვმ — 15,90 მეტრი. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ვოლგოგრადელებმა ი. კრავეცმა (15,82) და ს. ევდოკიმოვმა (15.80).

**ხელგუარი.** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვეფინალში თბილისის „ქარაშხალს“ ვაჟთა გუნდის მეტოქედ წილისყრამ მადრიდის „ატლეტიკო“ დაასახელა. პირველი მატჩი გაიმართება მადრიდში, მეორე — თბილისში. შეხვედრათა სავარაუდო ვადა 6-16 დეკემბერი.


გაზეთ „კომუნისტის“ მორიგი ნომერი გამოვა კვირას, 2 ნოემბერს.

რედაქტორი
**გ. ბედინეიშვილი.**


# ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ

**საქართველოს** საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საგამოფენო დარბაზში ბევრმა თბილისელმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ აგრეთვე კინორეჟისორები, მსახიობები. ისინი განსაკუთრებული სიხარულით ელოდნენ ამ დღეს.

საქმე ის არის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კინოარქივმა ორი წლის წინათ ბერლინში მოაწყო ქართული საბჭოთა კინოს ფოტოგამოფენა. და აი, ამ გამოფენის ექსპოზიცია განმეორებით გაიხსნა ჩვენთან, თბილისში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფოტოგამოფენის წარმატებაზე ვრცლად ესაუბრა დამსწრეთ სახელმწიფო არქივის დირექტორი ვ. კლაუსე.

„არსენა ჯორჯიაშვილი“, „გიული“, „მაგდანას ლურჯა“, „ნარნჯის ველი“, „ჯარისკაცის მამა“, „ქოლგა“, „ქეთო და კოტე“... ერთმანეთს ცვლის ფილმების ფოტოკადრები, და დამთვალიერებლებიც ინტერესით ეცნობიან მათ.

გამოფენას ესწრებოდა ცნობილი ჩეხი რეჟისორი ი. ვეჩელი, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა გერმანელი მეგობრების დიდი ინტერესი ქართული კინოსადმი.

**მ. კიკნაველიძე.**

# ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ

**ᲐᲛᲘᲔᲠᲐᲯᲐᲕᲐᲮᲘᲜᲘ** რკინიგზის სამმართველომ გაითვალისწინა შრომელთა სურვილები და დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისათვის დანიშნა დამატებითი სამგზავრო მატარებლები. მაგალითად, 6 ნოემბერს 22 საათზე მოსკოვის დროით თბილისის სამგზავრო სადგურიდან გავა მატარებელი № 168 თბილისი-მოსკოვი.

მატარებელი № 610 თბილისი-ბათუმი შედგენის სადგურიდან გავა 6 ნოემბერს 19 საათსა და 55 წუთზე. იმავე დღეს 23 საათზე გავა მატარებელი № 616 თბილისი-ცხინვალი, ხოლო 23 საათსა და 56 წუთზე — მატარებელი № 656 თბილისი-ქობულეთი.

დანიშნულია, აგრეთვე, დამატებითი სამგზავრო მატარებლები მოსკოვ-თბილისი, მოსკოვ-ერევანი, ბათუმ-თბილისი, ცხინვალ-თბილისი, ქობულეთ-თბილისი და სხვა.

ყველა დამატებით მატარებელზე დაიწყო ბილეთების წინასწარი გაყიდვა. (საქინფორმი).



## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

## ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲙᲣᲠᲡᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ

**ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1980-1981 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ.**

**ᲡᲙᲝᲚᲐ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ** მეფუტკრე და მეცხოველე ტექნიკოსებს.

**სკოლაში მიიღებიან** კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, გაერთიანებების მეცხოველეობის ფერმის პრაქტიკოსი გამგეები (ბრიგადირები), მეცხოველებასა და მეფუტკრეობაში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო და არასრული საშუალო განათლება.

სკოლაში ჩაირიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და უზრუნველყოფილი იქნებიან ბინითა და კომუნალური მომსახურებით.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად, სკოლაში მივლინებულებს კოლმეურნეობებში დაირიცხებათ თვეში 20-25 შრომადღე (ერთი შრომადღის ღირებულება 1 მანეთი და 72 კაპიკი) და მიეცემათ ყოველთვიურად 10 მანეთი სწავლის მთელ პერიოდში. ხოლო ის კოლმეურნეობები, რომლებიც გარანტირებულ ანაზღაურებაზე არიან, მისცემენ შესაბამის ანაზღაურებას — თვეში 45-50 მანეთს.



საბჭოთა მეურნეობებიდან და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან სკოლაში წარმოებას მოწყვეტით მიელინებულ ახალგაზრდებს აუნაზღაურდებათ იმ თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტი, რომელი თანამდებობის დასაკავებლადაც მზადდებიან ისინი.

**სკოლაში მიღება ხდება უგამოცდოდ.**

სკოლაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან გაერთიანების შუამდგომლობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამი ფოტოსურათი, პასპორტი ან მისი შემცვლელი საბუთი და სამხედრო ბილეთი უნდა იქონიოთ ხელზე.

**საბუთები მიიღება** ყოველდღე 9-დან 5 საათამდე კვირადღის გარდა.

**სწავლა დაიწყება 10 ნოემბერს.**

**სკოლის მისამართი:** ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. № 34. სასწავლო-საკურსო კომბინატის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ტელეფონი 2-27-02.

**თბილისის მოსახლეობის ზრდითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიურო**

## ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ ᲘᲬᲘᲕᲔᲑᲡ

**თბილისის** რეგიონალურ ცენტრში ელექტროგამომთვლელი მანქანების მომსახურებისათვის უფროს ინჟინერს, ინჟინერს, უფროს ტექნიკოსებს, ტექნიკოსებს ა და რადიოაპარატურის მარეგულირებელს.

**ცნობებისათვის და სამუშაოზე საგზურების მისაღებად მიმართეთ ბიუროსა და მის ფილიალებს: პლეხანოვის გამზირი, 67; ოქტომბრის ქ. მე-2 მიკრორაიონი, მე-2 კორპუსი; ნავთლუღის ქ. 17.**

**1980 წლის 2 ნოემბერს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზაკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექცია ატარებენ ქ. თბილისის ტაქსის მძღოლთა ტრადიციულ შეჯიბრებას „სად არის ეს ქუჩა, სად არის ეს სახლი-80“, რომელიც ეძღვნება საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა დღეს.**

სტარტი და ფინიში — სპორტის სასახლესთან.

დასაწყისი დილის 11 საათზე.

# ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

### □ 3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 16.55 — პროგრამა, 17.00 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია, 17.30 — განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.55 — მოსწავლეთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.25 — მოსწავლეთათვის — კინოცერკი, 18.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „დავით გურამიშვილი“, 19.15 — „ვეჩნისავი“ — „ლენინური გზით“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — კინონარკვევი, 20.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ლონდონ“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — „ლიტერატურული თეატრი“ — ვაჟა-ფშაველა. „სტუმარ-მასპინძელი“. (კითხულობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. ყარიელ საყვარელიძე). 23.25 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 15.35 — დოკუმენტური ფილმი — „იავაე პირიეკი“, 16.35 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.30 — განცხადებები, 17.35 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია, 18.20 — კინონარკვევი, 18.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „საოცარი ბერენდეევი“.

### □ 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.00 — აბიგურიენტებათვის — ქართული ენა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — შვეიცარიელთ ინგლისური ენა, 18.15 — გადაცემა ანალიზირებისათვის, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — დოკუმენტური ფილმი, 21.00 — „რუსთაველის თეატრის გასაროლები მოსკოვში“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — სპორტული მიმოხილვა, 23.15 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 15.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.00 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 16.30 — ქართული საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „ულმავალი“, 17.00 — განცხადებები, 17.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შემოდგომის ნოველა“, 17.55 — მუსიკალური ფილმი „მუსიკალური დეტექტივი“, 18.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ტრაკას თავგადასავალი (ფ.).

### □ 5 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.00 — აბიგურიენტებათვის — მათემატიკა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — შვეიცარიელთ ენა, 18.15 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.35 — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“ — ქალაქი ბაქო, 19.15 — „ეს აჩის ეკაფრიობა!“..., 22.00 — „ვრემია“ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, მოსკოვიდან და თბილისიდან. დასასრულ — „მოამბე“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — თბილისელ ქალაქმბისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო, 23.45 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 15.35 — მულტიფიკაციური ფილმი „ბრეზენტა“, 15.55 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 16.25 — საგეოლოგიზო დოკუმენტური ფილმი. „წყალის ხეები ოქროს ამბევენ“, 16.45 — სტუდენტებისათვის — მეტალიზმზეთა და მანქანების თეორია, 17.30 — დოკუმენტური ფილმი „ლენინი და დრო“, 18.30 — „ზოგი რამ ცეკვის შესახებ“, 19.25 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პირველი კონცერტი“.

### □ 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.45 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია თბილისსა და მოსკოვში, დასასრულ — კონცერტი, 13.50 — მოსწავლეთათვის — „ეკონცერტი რთველში“, 14.35 — „რეჟოლუცია, თანამედროვეობა, ეკრანი“, 15.25 — „სიმღერა, ლექსი, სამშობლო“. კონცერტი, 16.20 — „ეკრანზეა კომუნისტი“ — მხატვრული ფილმი „კომუნისტი“, 18.00 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი თბილისიდან, 20.00 — „კონცერტი — „მეგობრობის სიმღერა“, 21.00 — „მოამბე“, 21.30 — „ეს აჩის ეკაფრიობა!“..., 22.00 — „ვრემია“ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ჰამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი (მ.), 23.15 — „ბავშვს უთვალავის ფერითა“.

**მეორე პროგრამა:** 17.45 — კინონარკვევი, 18.00 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, 19.30 — „ბავშვებისათვის — ქართული ენა, 20.00 — „ჩვენი ბიბლია“ — ვიდეოფილმი (საქართველოს ტელევიზიის დოკუმენტური ფილმი პირველი, 21.10 — დ. ფოსტაკოვიჩი — „რევოლუციის პოეტები“.

### □ 8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით** 09.00 — ქართული საგანმანათლებლო-პოპულარული ფილმები. „ბოლოს“ — „მთა, მთას უყურებ“, „ოქროს ბეჭედი“, „ფაზოლზე“ (პრემიერა), 10.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.20—„ჯადოსნური საღებავი“ — „დროშები ჩვენს ნაბაგებში“, 10.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ხალული მარკიზისათვის“, 12.00 — „ცეროდენას ეკრანი“, 12.30 — კინონარკვევი, 12.45 — ქართული მუსიკა — „მეგობრების აზრი“, 13.25 — მუსიკალური შესვენება, 13.30 — „მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მწარმოებელები — საბჭოთა კავშირის 1980 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები“ (მ.), 14.15 — „ბავშვურთხილადეთ ეროვნულ საუნჯეს“, 14.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალიასაბრი“ (პრემიერა), 15.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამო“ — ერევნის „არარატი“. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.45 — ქართული საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „მექანიზატორი“ (პრემიერა). 17.00 — „საბჭოთა კავშირის 1980 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში“ (მ.), 18.00 — „კინოს სამყაროში“ — „ჩვენებურთა ნაკვალევზე“, 18.55 — ქართული პოეზიის საღამო მოსკოვში. 19.55 — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“ — „ძმობის ობელისკი“ — ქალაქი ბაქო, 20.15 — მხატვრული ფილმი „ინტერვიუ ჯირად საკითხებზე“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — „ქართული ჰიმდიის საღამო“.

**მეორე პროგრამით:** 13.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 13.30 — „ბავდი ბიგვა“. ვიდეოფილმი (საქართველოს ტელევიზიის დაჯგმა). ფილმი მეორე და მესამე, 15.40 — კინონარკვევი, 16.00 — მხატვრული ფილმი „ზები თანამედროვე“. პირველი სერია.

### □ 9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.50 — ქართული საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „ფეტიანელი კინფოლანგში“, 10.20 — „ცეროდენას ეკრანი“, 10.50 — ტელეკურსი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (სტუდიაში დოცენტი თ. კკაშანტირაძე), 11.20 — ქართული საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა აჭარა“, 11.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „უსიტყვო სიმღერა“, 12.10 — მუსიკალური შესვენება, 12.15 — „კინოაფიშა“, 12.45 — „ამაგდარი“ — თამარ ღოღობერიძე. 13.15 — „კინოფანტაზია“, 14.00 — „მოსწავლეთათვის — „შუბლიერ მხარე